



სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ანგარიში

II კვარტალი

თბილისი

2019

სარჩევი

ახალი და მიმდინარე ამბები	- 1
მედიაწარმოება	- 8
საქართველოს რადიო	-16
მედია და კომუნიკაცია	- 19
ტექნიკური უზრუნველყოფა	- 32
იურიდიული სამსახურის ანგარიში	- 37
ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	- 49
„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ არქივი	- 50
ფინანსები და ადმინისტრაცია	- 53

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოგი

1. მოკლე მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში მთაწმინდის მაჟორიტარულ ოლქში შუალედური არჩევნები ჩატარდა, პარალელურად, ქვეყნის ხუთ ოლქში მერის რიგგარეშე არჩევნებიც გაიმართა. *პირველი არხის* საინფორმაციო სამსახურმა წინასაარჩევნო კამპანია ყოვლისმომცველად და დაბალანსებულად გააშუქა და გამართა დებატები.

პირველმა არხმა საანგარიშო პერიოდში მაყურებელს შესთავაზა ახალი საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა *ბიზნესპარტნიორი*, რომელიც ყოველდღიური პროექტია და ორიენტირებულია ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების გაშუქება/ ანალიზზე. პროექტი გადის ორი ფორმატით - ნახევარსაათიანი პროგრამა 15:00 საათზე და *ბიზნესპარტნიორის* რუბრიკა - დილის პროგრამაში *ახალი დღე*. ორივე ფორმატი მოიცავს ახალი ამბების ბლოგს და თემის ანალიზს სტუმრების მონაწილეობით.

მრავალფეროვანი საქართველო პროექტის ფარგლებში მაუწყებლობს აზერბაიჯანული და სომხურენოვანი ინტერნეტ-ტელევიზიები *Birinci Kanal* (პირველი არხი) და *Unuqışın Uşıqı* (პირველი არხი). ორივე არხზე საინფორმაციო გამოშვება გადაიცემა ყოველ საათში, ხოლო შემაჯამებელი *მოამბე 19:00 საათზე* გადის ყოველდღე კვირადღის გარდა.

ორივე არხმა დაიწყო პროექტი *პოზიცია (MÖVQE და Ҳіққоқлۇس)*, ხოლო აზერბაიჯანულენოვანმა რედაქციამ დაიწყო გადაცემა *ӘНӘНӘ ҶӘЛӘНГ (ტრადიციის ბუკეტი)* და საბავშვო პროგრამა *ფერადი სამყარო (Rəngli Dünya)*.

დაიწყო პროგრამის *ახალი კვირა* სიუჟეტების თარგმნა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. ასევე მზადდება პროგრამები *ხაზინა (საგანძური)*, *განძარან (საგანძური)*, *გუნეყ აშხარჰ (ფერადი სამყარო)*, *კვირის რეპორტაჟი* და *შაბათ ერეკო (შაბათის საღამო)*.

აქვე აღსანიშნავია, რომ *მოამბის* 21-საათიანი გამოშვება სინქრონული ითარგმნება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ციფრული მაუწყებლობის წყალობით აუდიტორიისთვის *მოამბე* სამივე ენაზე ხელმისაწვდომია.

საანგარიშო პერიოდში აქცენტი გაკეთდა ექსკლუზიური და არამეინსტრიმული თემების ღრმა გაშუქებაზე. ამავე დროს, გაშუქდა ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეკონომიკური და კულტურული მოვლენა.

საანგარიშო პერიოდში გასული გადაცემების რაოდენობა ასე გამოიყურება:

- საქართველოს პირველი არხი
 - მოამბე - დღის თემა - 10
 - აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად - 11
 - კვირის ინტერვიუ - 10
 - ახალი კვირა - 11
 - 42° პარალელი - 11
 - თავისუფალი ხედვა - 11
 - ნაშუადღევს - 57

- საქართველოს რადიო
 - ღია სტუდია - 65
 - მსოფლიო ამბები - 13
 - ესტაფეტა - 65
 - ლეგიონი - 12
 - ჩვენი საქართველო - 12

2. სიახლეები

2.1. შუალედური და ვადამდელი არჩევნები 2019

საანგარიშო პერიოდში, 19 მაისს, გაიმართა 8 მუნიციპალიტეტის საკრებულოების შუალედური და 5 მუნიციპალიტეტის მერების რიგგარეშე არჩევნები. ამავე დღეს გაიმართა პარლამენტის შუალედური არჩევნები მთაწმინდის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში. 9 ივნისს ამავე საარჩევნო ოლქში გაიმართა განმეორებითი არჩევნები.

საარჩევნო პერიოდში საქართველოს პირველი არხი მუდმივად უთმობდა დროს არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს. დებატები დეპუტატობის კანდიდატებს შორის სამჯერ გაიმართა და საერთაშორისო მედიაში აპრობირებული ფორმატით წარიმართა.



კიდევ ერთი დებატი გაიმართა უკვე არჩევნების მეორე ტურის წინ. პარლამენტის ვადამდელი არჩევნების მეორე ტურში გადასულმა კანდიდატებმა არჩევნებამდე ორი დღით ადრე მაყურებელს საკუთარი პროგრამა გააცნეს და წამყვანის შეკითხვებს უპასუხეს. კანდიდატებს საშუალება ჰქონდათ, კითხვები ერთმანეთისთვის დაესვათ.

პირველმა არხმა საარჩევნო სუბიექტებს კიდევ ერთი ფორმატი შესთავაზა. *მოამბის* მთავარ, 21-საათიან, გამოშვებაში ათ-ათი წუთი დაეთმო კანდიდატებს თავიანთი პროგრამების წარმოსაჩენად.

ასევე გაიმართა დებატები მუნიციპალიტეტების მერობის კანდიდატებისთვის. *საქართველოს პირველმა არხმა* ხუთივე მუნიციპალიტეტში მერის რიგგარეშე არჩევნებში მონაწილე კვალიფიციური სუბიექტების კანდიდატებს სპეციალურ საარჩევნო გადაცემაში მონაწილეობა შესთავაზა. ზუგდიდის, ხულოსა და ჭიათურის შემთხვევაში, ვინაიდან მხოლოდ თითო კვალიფიციურმა კანდიდატმა გამოთქვა გადაცემაში მონაწილეობაზე თანხმობა, დებატები ვერ შედგა.

დებატები ჩატარდა საერთაშორისო სტანდარტების დაცვით, მიუკერძოებელ გარემოში, სადაც კანდიდატებს საშუალება ჰქონდათ, საკუთარი პოზიცია ამომრჩევლისთვის თანაბარ პირობებში გაეცნოთ.

მთლიანობაში საინფორმაციო სამსახური საარჩევნო პერიოდში განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობდა რათა მიმდინარე მოვლენები სრულად და ყოვლისმომცველად გაეშუქებინა. უშუალოდ არჩევნების დღეებში კი *მოამბე* უწყვეტ რეჟიმში მუშაობდა.



2.2. ბიზნესპარტნიორი

საანგარიშო პერიოდში *პირველმა არხმა* მაცურებელს შესთავაზა ახალი პროექტი *ბიზნესპარტნიორი*, რომელიც ყოველ სამუშაო დღეს ეთერში გადის ორი განსხვავებული ფორმატით.

პროექტის მიზანია აუდიტორიას მიაწოდოს ყველაზე ამომწურავი და ობიექტური ინფორმაცია საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და ბიზნეს აქტივობებზე.



საკანონმდებლო რეგულაციები, დასაქმების ბაზარი, საინვესტიციო გარემო, სიახლეები და ანალიზი, რა უშლის ხელს ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას, როგორ ესმის ხელისუფლებას დამსაქმებელთა და დასაქმებულთა პრობლემები და რას აკეთებს მათ მოსაგვარებლად - ეს ყველაფერი ელოდება მაყურებელს გადაცემაში **ბიზნესპარტნიორი**.

არხის ეთერშია ყოველ სამუშაო დღეს 15 საათსა და 30 წუთზე. მისი ქრონომეტრაჟია 30 წუთი.

გადაცემის პირველ ნაწილში ეთმობა ბიზნესისა და ეკონომიკის მნიშვნელოვან სიახლეებს, გადაცემის მეორე ნაწილში კი უკვე სტუმრების მონაწილეობით ჯამდება დღისა და კვირის მნიშვნელოვანი სიახლეები.

განხილული თემები თავსდება ვებგვერდზე 1tv.ge.

ბიზნესპარტნიორის

ფეისბუქგვერდზე კი მაყურებელს საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება აქვს.

ბიზნესპარტნიორი მაყურებელს სთავაზობს კიდევ ერთ ფორმატს.



22 აპრილიდან **ბიზნესპარტნიორი** რუბრიკის სახით წარმოადგენილია **პირველი არხის** დილის პროგრამაში **ახალი დღე**. ის მოიცავს საინფორმაციო ბლოკს და ინტერვიუს. მისი ქრონომეტრაჟია 10 წუთი.

ბიზნესპარტნიორი არის გარეწარმოების პროექტი. მას ახორციელებს **ბიზნეს მედია კორპორაცია**, რომელიც საქართველოს ბიზნესმედია ბაზარზე ერთ-ერთი წარმატებული კომპანიაა. **ბიზნეს მედია კორპორაცია** ფლობს გაზეთ **Caucasus Business week**-ს, ასევე ვებ პორტალებს **bpi.ge** და **avianews.ge**.

2.3. ლეგიონი

საანგარიშო პერიოდში **საქართველოს რადიოს** ეთერში დაიწყო ყოველკვირეული სპორტული პროგრამა **ლეგიონი**. გადაცემა მსმენელს სთავაზობს ამომწურავ ინფორმაციას კვირის ყველა მნიშვნელოვან სპორტულ სიახლეზე. გადაცემის ქრონომეტრაჟია 20 წუთი და ის ეთერში გადის ყოველ ორშაბათს.

2.4. მრავალფეროვანი საქართველო

საანგარიშო პერიოდში პროექტმა *მრავალფეროვანი საქართველო* აზერბაიჯანულ და სომხურენოვან აუდიტორიას მნიშვნელოვანი სიახლეები შესთავაზა. საუბარია აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი ინტერნეტ-ტელევიზიების *Birinci Kanal* (პირველი არხი) და *Առաջին Ալի* (პირველი არხი) პროგრამებზე.

Birinci Kanal -მა დაიწყო პროექტი *ԹՈՒՌ ՇԵԼՈՂ* (ტრადიციის ბუკეტი), რომელიც ეთერში გადის ყოველ სამშაბათს - 20:00 საათზე. პროგრამა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკური აზერბაიჯანლების ტრადიციებსა და მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე მოგვითხრობს.

აზერბაიჯანულენოვანმა რედაქციამ დაიწყო პროგრამა *ფერადი სამყარო (Rangli Dünya)*. გადაცემა გადის ყოველ ხუთშაბათს - 20:00 საათზე. საბავშვო პროგრამის ქრონომეტრაჟია 20 წუთი. გადაცემაში მონაწილეობენ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელები, ბავშვები პასუხობენ საინტერესო ლოგიკურ კითხვებს, გამოხატავენ საკუთარ აზრს სხვადასხვა თემებზე. ამ პროგრამის სომხურენოვანი ვერსია *გუნეყ აშხარ* წინა საანგარიშო პერიოდში დაიწყო.

ორივე არხმა დაიწყო პროექტი *პოზიცია (MÖVQE და Գիշերուշու)*. ორივე პროგრამა გადის ყოველ პარასკევს - 20:00 საათზე. პროგრამის ფარგლებში ხდება კვირის განმავლობაში საქართველოში მომხდარი რომელიმე მნიშვნელოვანი ამბის შესახებ აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი მოსახლეობის გამოკითხვა.

კიდევ ერთი სიახლე - აპრილიდან პროგრამა *ახალ კვირაში* სიუჟეტების აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე თარგმანი თავსდება ვებ გვერდზე.

აზერბაიჯანული და სომხურენოვანი ინტერნეტ-ტელევიზიები ახორციელებენ პროექტს *კვირის რეპორტაჟი*. პროგრამის ფარგლებში საინტერესო ადამიანებსა და მოვლენებზე სიუჟეტებს ამზადებენ *მრავალფეროვანი საქართველოს* ჟურნალისტები. *კვირის რეპორტაჟი* ინტერნეტ-არხებზე გადის ყოველ კვირას - 20:00 საათზე. პროგრამის ქრონომეტრაჟია 10 წუთი.

სომხურენოვანი ინტერნეტ-ტელევიზიის *Առաջին Ալի* (პირველი არხი) ეთერში გადის ყოველკვირეული პროგრამა *შაბათ ერეკო (შაბათის საღამო)*. კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამის გადის ყოველ შაბათს 20:00 საათზე და მისი ქრონომეტრაჟია 15 წუთი.

ორივე ინტერნეტ-არხზე *მომბე 19:00 საათზე* ეთერში გადის ყოველდღე კვირადღის გარდა. მისი ნახვა შესაძლებელია *ITV.ge* -სა და facebook -გვერდზე. ორივე ინტერნეტ-არხზე 5-წუთიანი *ახალი ამბები საათში ერთხელ* ეთერში გადის ყოველდღე კვირის გარდა, 12:00-იდან 18:00 საათის ჩათვლით.

მრავალფეროვანი საქართველო უზრუნველყოს *მომბის* 21-საათიანი გამოშვების სინქრონულ თარგმანს სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ციფრული მაუწყებლობის წყალობით აუდიტორიისთვის *მომბე* სამივე ენაზე ხელმისაწვდომია.

3. გაშუქებული ექსკლუზიური და არამეინსტრიმული თემები

ახალი და მიმდინარე ამბების სატელევიზიო პროგრამები *მომხე 21:00 საათზე, მომხე - დღის თემა, აქტუალური თემა მკაცრ ცინცაძესთან ერთად, კვირის ინტერვიუ, ახალი კვირა, თავისუფალი ხედვა, პირველი აუდიტორია, ბიზნესპარტნიორი* და *42° პარალელი* გამოკვეთილად ორიენტირებულია ექსკლუზიური და არამეინსტრიმული თემების ღრმა გაშუქებაზე.

არამეინსტრიმული თემატიკა ტრადიციულად შუქდება *საქართველოს რადიოს* ისეთ გადაცემებში, როგორებიცაა *ჩვენი საქართველო, ღია სტუდია, ესტაფეტა* და *მსოფლიოს ამბები*.

ცალკე აღსანიშნავია პროექტი *მრავალფეროვანი საქართველო*. პროექტის ფარგლებში სხვადასხვა ენებზე მზადდება რეპორტაჟები და დოკუმენტური მასალები საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების შესახებ. საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიაპროდუქცია ითარგმნება ეთნიკური უმცირესობების ენებზე.

პროექტის *მრავალფეროვანი საქართველოს* მიზანია საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების ინფორმირება, მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლება, მრავალფეროვან კულტურათა დიალოგის და ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

გაშუქებულ თემებს შორის ცალკე აღსანიშნავია შუალედური და ვადამდელი არჩევნები. მის გაშუქებაზე ზემოთ დეტალურად უკვე ვისაუბრეთ.

პირველი არხის სამივე პლატფორმა უწყვეტად აშუქებდა 20-21 ივნისის მოვლენებს. შემდგომი მოვლენები და საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატივა ასევე განსაზღვრავდა ახალი ამბების სამსახურის დღის წესრიგს. პირველი არხის სამივე პლატფორმა დეტალურად აშუქებდა საპროტექსტო აქციებს.

მომხე 20 ივნისის ღამეს უწყვეტად, 13 საათზე მეტი ხნის განმავლობაში გადასცემდა პარლამენტის წინ მიმდინარე პროცესებს. ლაივ რეჟიმში გადაიცემოდა რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციები მომდევნო დღეების განმავლობაშიც.

პირველმა არხმა დეტალურად გააშუქა შს მინისტრის შეხვედრა ჟურნალისტებთან, პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომა და ახალი თავმჯდომარის არჩევის დროს გამართული პოლიტიკური დებატები პარლამენტში, 20 ივნისის მოვლენების გამოძიება, დეპუტატ ნიკა მელიასთვის ბრალის წარდგენა და მისთვის სადეპუტატო იმუნიტეტის შეჩერება.

მნიშვნელოვანი დრო დაეთმო საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატივას პროპორციული არჩევნების ჩატარების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში *პირველმა არხმა* გამოშვებებში დიდი დრო დაეთმო ლგბტქ თემის მიერ დაანონსებულ „პრაიდს“ და ამ ინიციატივასთან დაკავშირებულ ხმაურიან პროცესებს.

ამ პოლიტიკური მოვლენების პარალელურად, გაშუქდა სხვა მნიშვნელოვანი თემებიც: ქენევაში გამართული მოლაპარაკებების 42-ე რაუნდი; ნატოს 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია და მის ფარგლებში გამართული შეხვედრები; პრემიერ-მინისტრის შეხვედრა აშშ-ს სახელმწიფო მდივანთან და პოლიტიკური გზავნილები; საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანების 20 წლისთავი, აღმოსავლეთ პარტნიორობის 10 წელი; პარლამენტში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმთან დაკავშირებული განხილვები და საბოლოოდ მიღებული დოკუმენტი; საკადრო ცვლილებები მთავრობაში; საოკუპაციო რეჟიმის უკანონო გადაწყვეტილებები, საოკუპაციო ზოლთან შექმნილი ვითარება და გაეროს მიერ დევნითა შესახებ მიღებული კიდევ ერთი რეზოლუცია; დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გარშემო მიმდინარე

პროცესები და სადელიმიტაციო კომისიის მუშაობა; ევროსაბჭოში რუსეთისთვის ხმის უფლების აღდგენა და სხვა.

მოამბის მთავარ გამოშვებაში წარმოდგენილი იყო ყველა მნიშვნელოვანი თემა, ყველა პოზიცია და მაყურებელს საშუალება ჰქონდა, მიეღო ამომწურავი და დაზუსტებული ინფორმაცია ქვეყანაში, თუ მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პროცესების შესახებ.

4. დამოუკიდებელი პროგრამები და მათი მწარმოებლები

ბიზნესპარტნიორი - ბიზნესპარტნიორი ყოველ სამუშაო დღეს ეთერში გადის ორი განსხვავებული ფორმატით. პროექტის მიზანია აუდიტორიას მიაწოდოს ყველაზე ამომწურავი და ობიექტური ინფორმაცია საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და ბიზნეს აქტივობებზე. პროექტი წარმოადგენს გარე წარმოებას და მას ახორციელებს *ბიზნეს მედია კორპორაცია*. ეს კორპორაცია მედია ბაზარზე ერთ-ერთი წარმატებული კომპანიაა, რომელიც ბიზნესის ამბებზეა ორიენტირებული. *ბიზნეს მედია კორპორაცია* ფლობს გაზეთ *Caucasus Business week*-ს, ასევე ვებ პორტალებს *bpi.ge* და *avianews.ge*.

მთავარი (Главное) - ყოველდღიური რუსულენოვანი გადაცემა. პროგრამა წარმოადგენს *რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლებისა* და *ამერიკის ხმის* ერთობლივ პროექტს, რომელიც ხორციელდება საქართველოში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, მოლდავეთსა და უკრაინაში მოქმედ მაუწყებლებთან თანამშრომლობით.

მედია წარმოება

(ტელევიზიების გაერთიანება, რადიო)

მნიშვნელოვანი მოვლენები / სამუშაოები / ნაბიჯები / სიახლეები - ტელე პროექტების მიმართულებით

მასტერშეფი - ეთერში ჩაეშვა მსოფლიოში პოპულარული, რეიტინგული, ერთ-ერთი საუკეთესო გასართობი და შემოქმედებითი შოუ ქართულ ტელევიზორცეში „მასტერშეფი.“ პროექტი ყველაზე ცეცხლოვანი, დინამიკური კულინარიული გადაცემაა აშშ-ს პოპულარული პროგრამების რეიტინგებში და ყოველთვის საპატიო ადგილს იკავებს. პროექტი, რომელმაც მსოფლიო სტანდარტი შექმნა – საუკეთესო მანსი დამწეები და გამოცდილი მზარეულებისთვის დიდი კარიერის დასაწყებად დღეს უკვე პირველი არხის ბადეშია და მაცურებლის დიდი ინტერესს იწვევს.

რანინას გრანდიოზული ფინალი - წარმატებით დასრულდა მუსიკალური ტელე კონკურსი „რანინა“, რომელმაც გამოავლინა საქართველოს წარმომადგენელი

2019 წლის საბავშვო ევროვიზიაზე. გრანდიოზული ფინალი 26 მაისს ღია ცის ქვეშ ჩატარდა. მისი უნიკალურობიდან, ფორმატიდან და იდეოლოგიიდან გამომდინარე, მაცურებლისა და მუსიკალური სფეროს წარმომადგენლებისთვის „რანინა“ იქცა ერთადერთ მუსიკალურ ტელე კონკურსად, რომელიც ზუსტად პასუხობს ქართული მუსიკალური კულტურისა და მომავალი თაობის დაკავშირების და განვითარების აუცილებელ იდეას.

აკუსტიკის კონცერტი ღია ცის ქვეშ - დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად რანინას გრანდიოზულ ფინალთან ერთად პირველი არხის მაცურებელს შევთავაზეთ მუსიკალური პროექტი აკუსტიკის კონცერტი, რომელიც ასევე ღია ცის ქვეშ რესპუბლიკის მოედანზე გაიმართა.

რა, სად, როდის? - 1 არხის ეთერში ჩაეშვა ინტელექტუალური პროექტი რა? სად? როდის? ყველაზე მასშტაბური ინტელექტუალური პროექტის ახალი სეზონის ნახვის საშუალება არხის მაცურებელს აპრილიდან აქვს.

„წიგნების თარო“ ახალგაზრდულ - სტუდენტური სეზონი - გაზაფხულის სეზონიდან პროექტს დაუბრუნდა სტუდენტური სეზონი და ახლა „წიგნების თარო“ ნაცვლად ორი დღისა ეთერში - სამი დღე გადის.

- 10 მოსწავლე კემბრიჯში** - აგვისტოში კემბრიჯის საზაფხულო სკოლაში 10 მოსწავლე გაემგზავრება (მეხუთე სეზონის გამარჯვებულები, მეექვსე სეზონის გამარჯვებულები, სტუდენტური სეზონის გამარჯვებულები და ხალხის რჩეულები)

- წიგნების კითხვის ფესტივალი** - 11 მაისს “წიგნების თაროს” ორგანიზებით ლისის ტბაზე გაიმართა “წიგნების კითხვის ფესტივალი”. ფესტივალი აერთიანებდა სხვადასხვა შემეცნებით და გასართობ აქტივობებს(კონცერტი, მასტერ კლასები, წიგნების გაცვლა, საბავშვო კუთხე).
- საიუბილეო მე-200 გადაცემა ეთერში .
- “წიგნების თარომ” ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით სპეციალური შეხვედრა გამართა რაჭაში, ამბროლაურის მეორე საჯარო სკოლაში. შეხვედრაზე წამყვანმა წაიკითხა მოხსენება თემაზე “**როგორ შევავაროთ ბავშვებს კითხვა**”.
- სპეციალური გადაცემა** საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით.
- მე-6 სეზონის მიმდინარეობის პარალელურად მივიღეთ **144 ლიტერატურული ნაწამოები**.
- 110 000 მომწონებელი Facebook-ის გვერდზე** - VI სასკოლო და II სტუდენტური სეზონის განმავლობაში ასევე გაიზარდა ჩვენი instagram-ის და Youtube-ის არხზე გამომყოლთა და გამომწერთა რაოდენობაც.
- გვგეონდა არაერთი **ვირუსული ვიდეო**, რომელთა ჯამურმა ნახვებმა 5 მილიონს მიაღწია. ვიდეოდით საქართველოს სხვადასხვა კუთხის სკოლებიდან მოწვევებს მათთან საჯარო ლექციების ჩატარების შესახებ.
- “წიგნების კითხვის ფესტივალს” გამოეხმაურა ყველა მნიშვნელოვანი ონლაინ მედია, გამოცემა.

დოსიე - წარმატებით მიმდინარეობს პირველ კვარტალში დაწყებული ტელე პროექტი დოსიე. საეთერო ბადეში 2019 წელს გაჩნდა ზოლი, სადაც კვირაში ერთხელ ნაჩვენებია საინტერესო უცხოური წარმოების, სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი დოკუმენტური ფილმები. ყოველკვირეული ფილმის ჩვენებას გადაცემის ფორმატში წინ უძღვის საავტორო მოკლე შესავალი, რომელიც მაყურებელს ეხმარება, ფილმის საშუალებით საკუთარი რეალობის, კულტურის, პრობლემების, აქტუალობის, საკუთარი ისტორიის იდენტიფიცირება მოახდინოს მსოფლიოში მიმდინარე ისტორიულ, სოციალურ- კულტურულ მოვლენებთან.

12 მოციქული - 2019 წლის პირველ კვარტალში დაიწყო და წარმატებით აგრძელებს მაუწყებლობას მულტიმედიური პროექტი **12 მოციქული**. გადაცემა ემსახურება მუსიკალური ჟანრების პოპულარიზაციას, სადაც ვცდილობთ, ხატოვნად, მსმენელისთვის გასაგებ ენაზე ავხსნათ მუსიკის იდუმალება, მუსიკა- როგორც რიტუალი, მუსიკალური ინსტრუმენტების გაჩენისა და განვითარების ისტორია. გადაცემის მიზანია, ჩვენი მსმენელის მუსიკალური ამპლიტუდის გაზრდა, მისი განათლება, გემოვნების ამაღლება და მაღალ ხარისხიანი მუსიკის პოპულარიზაცია.

რეალური სივრცე - ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „პენიტენციური და პრობაციის რეფორმების ხელშეწყობა და მონიტორინგი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით“ ფარგლებში გამართულ კონკურსში გაიმარჯვა „რეალური სივრცის“ ვებ ეპიზოდმა - „დაბრუნება“, რომელიც გვიჩვენებს, როგორ ემზადებიან პატიმრები თავისუფლებაში დასაბრუნებლად და რა სტრატეგია აქვს სახელმწიფოს პატიმრების რესოციალიზაცია-რეინტეგრაციის მიმართულებით.

ახალი დღე - პირველი არხის დილის გადაცემამ მეორე კვარტლის განმავლობაში აქტიურად იმუშავა შემდეგ მიმართულებებზე:

- მნიშვნელოვანი ეკოლოგიური გამოწვევის წინ წამოწევა და პრობლემების შემცირების მიმართულებით მომუშავე ადამიანების მოტივაციის ამაღლება.
- 20-ზე მეტი პირდაპი ჩართვა / სტუმარი ქართული წარმოების ხელშეწყობისათვის - სტარტაპი, ქართული პროდუქციის წარმატება საერთაშორისო ასპარეზზე
- 2019 წლის აპრილის თვიდან დაგვემატა „ბიზნეს პარტნიორის“ ყოველდღიური ბლოგი. ახალგაზრდა ბიზნესმენების გაცნობისთვის და ქვეყანაში მიმდინარე ბიზნეს-სიტუაციის გაშუქებისთვის.
- 20 -ზე მეტი ეთერი ქართული მუსიკის პოპულარიზაციისთვის (პრემიერები, ახალი ანსამბლები, ახალი სახელები, კლასიკოს კომპოზიტორთა ნაწარმოებების ახალი ვერსიები)
- 20-მდე ეთერი კლასიკური მუსიკის პროპაგანდისთვის.
- ყოველდღიური ეთერი მიმდინარე მოვლენების (სახელოვნებო, სოციალური, საზოგადოებრივი, სამეცნიერო) ექსკლუზიური გაშუქებით.
- ახალი წიგნების, კლასიკოსი მწერლების ნამუშევრებისა და ახალგაზრდა მწერლების პოპულარიზაცია - 30-ზე მეტი ეთერი.
- საზოგადოებრივი მაუწყებლის ოქროს ფონდის პოპულარიზაცია - 20-ზე მეტი ეთერი,
- უცხოეთში მოღვაწე ქართველების მიღწევების გაშუქება - 10-მდე ეთერი.

აკუსტიკა - მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ეთნიკური უმცირესობის მუსიკას და მუსიკოსებს. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის იგეგმება მუსიკალური ცოცხალი სეისები, რომელთა ნაწილიც უკვე იხილა გადაცემის მაყურებელმა. ეს კი ხელს უწყობს, პოპულარული გავხადოთ ეთნიკური მუსიკა, ხელი შევუწყოთ თავად მუსიკოსებს და შემსრულებლებს, ქართულ საზოგადოებაში გზა გავუხსნათ და მივცეთ ფართო ინტეგრაციის საშუალება, და რაც მთავარია, გავზარდოთ შემოქმედებითი თვალსაწიერი თავად ქართველი შემსრულებლისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ფესტივალი არტგენი დაინტერესდა აკუსტიკის ფორმატით და მოლაპარაკებების შედეგად 2019 წლის საფესტივალო პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. კერძოდ, ფესტივალი არტ-გენი 2019 წლის ფორუმის გახსნის დღეს უთმობს მხოლოდ „აკუსტიკას“, სადაც ჩვენი ჯგუფის ორგანიზებით გაიმართება კონცერტი. მიმდინარე სეზონზე ემიგრაციაში მყოფი მუსიკოსების პოპულარიზაცია გადაცემისთვის ერთ - ერთი პრიორიტეტია.

„კაცები“ - მაუწყებლობას აგრძელებს იუმორისტული თოქ შოუ „კაცები“, რომელშიც მაყურებელი ისმენს ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე ახალი ამბების იუმორისტულ მიმოხილვას. გადაცემის ჩაწერა ხდება აუდიტორიის თანდასწრებით, „ცოცხალი“, იმპროვიზებული იუმორით.

„ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ - გადაცემა „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ საქართველოს პირველი არხის ეთერში მესამე სეზონს ასრულებს. წლებანდელი სეზონი 16 სექტემბერს დაიწყო. მთელი წლის განმავლობაში მოვამზადეთ 13 ახალი გადაცემა. გაკეთდა სპეციალური საახალწლო გადაცემაც, 1 საათიანი ქრონომეტრაჟით, რომელშიც საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივის ფონდის მასალა გამოვიყენეთ. ამასთან ცოტა ხნის წინ, ბათუმის გასტროლების დროს გადავიღეთ სპექტაკლი „მეფე ლირი“, რომელშიც, მოგეხსენებათ, გადაცემის წამყვანი ზურა ყიფშიძე მონაწილეობს. უკეთესი საეთერო დროს გამო წელს, რეიტინგი სტაბილურად კარგი იყო. აქედან გამომდინარე გადაცემა ყოველ კვირას ხვდებოდა ყველაზე რეიტინგული გადაცემების ათეულის ლიდერებში. გადაცემების მოსამზადებლად გადაცემის შემოქმედებითი ჯგუფი საქართველოს მასშტაბით მივლინებაში რამდენჯერმე იმყოფებოდა. წელს პირველად მომზადდა გადაცემა არა ხელოვნების სფეროსთან დაკავშირებულ, არამედ, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან პიროვნებებზე, საინტერესო ბიოგრაფიის მქონე ადამიანებზე.

პირადი ექიმი - ყოველდღიური რეიტინგის ანალიზით, საშუალო მონაცემები სტაბილურად ზრდადია. გაიზარდა გადაცემის ფეისბუქ მომხმარებელთა რიცხვი (51 505 გამოძწერი) ფეისბუქ აპლიკაცია „აირჩიე შენი თემა“ - მაყურებელს შეუძლია ჩაერთოს გადაცემის თემის დაგეგმვაში. გადაცემა (როგორც მითითებულ თემაზე ინფორმაციის პირველი მიმწოდებელი ტელევიზორცეში) გამოეხმაურა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სპეციალურ მიმართევებს და რეკომენდაციებს, აგრეთვე, შემდეგ მნიშვნელოვან თარიღებს: ჰემოფილიის დღე; ხმაურის საერთაშორისო დღე; სტენოკარდიის თვე; ჯანმრთელობის დღე; აუტისტური სპექტრის აშლილობის დღე; იმუნოზაციის კვირეული; ტყვიის საერთაშორისო კვლევა; მსოფლიო თამბაქოს გარეშე; ჰიპერტენზიის თვე; ბრონქული ასთმის დღე; შიზოფრენიის საერთაშორისო დღე; ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე; დონაციის დღე; შშმ. პირების მხარდამჭერი დღე; ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის დღე; ვიტალიგოს საერთაშორისო დღე; იმუნოზაციის საზაფხულო კვირეული; გაფანტული სკლეროზის ცნობადობის ამაღლების დღე; ანტირაბიული პროპაგანდა (ცოფის შესახებ ინფორმაციის გავრცელება); კომპუსტიოლოგიური პრევენცია (დამწვრობის თავიდან ასაცილებლად)

ამასთან მომზადდა 8 სოციალური პროექტი - „მე დავამარცხე კიბო“, „დღეგრძელობის საიდუმლო“, „ოჯახი“, „პირადი ექიმის გუნდი“, „ომის თაობა“, „შეზღუდული შესაძლებლობები“, „მშობლის დღიური“, „გარემო“.

შეიქმნა 70 - ზე მეტი "პირადი ექიმის გუნდი", რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ასაკის და პროფესიის ადამიანებს ჯანსაღი ცხოვრების წესის და გადაცემის პრომოციისთვის. გადაცემამ შემოიკრიბა მოსწავლეები (პირველი გიმნაზია, ევროპული სკოლა, ქართული და უცხოენოვანი კონტინგენტი); და სტუდენტები (დ. ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, ქართულ ამერიკული უნივერსიტეტი), რომელთათვისაც გადაცემის ავტორმა და წამყვანმა ჩაატარა საჯარო ლექციები. გადაცემის გუნდმა, მარკეტინგის სამსახურთან ერთად, მოამზადა პროექტი "პირადი ექიმი ზრუნავს თანამშრომლებზე", რომელიც გულისხმობს საჯარო ლექციებს და კონსულტაციებს ტელევიზიის თანამშრომლებისთვის. მზადდება რამდენიმე ახალი რუბრიკა (მაგალითად)- "ტუბერკულოზი განკურნებადია", პრაქტიკულად განხორციელდება გასულ კვარტალში დაგეგმილი

პროექტები. "პირადი ექიმის გუნდებისთვის" შემუშავდება ერთობლივი პროექტები. დაგეგმილია მულტიმედიურ პლატფორმაზე გაძლიერება (მაგ: სამედიცინო ვებ-ჟურნალის სახით).

მარტივი ლოგიკა - „მარტივი ლოგიკა“ საერთაშორის კომპანია „ენდემოლის“ ფრანჩიზაა ორიგინალური სახელით „Cash Struck“. ეს პროექტი 2017 წელს შეიქმნა ინოვაციური იდეების საფუძველზე - მობილური აპების პრინციპი გადატანილიყო ტელეეკრანზე. იდეა სრულად შეესაბამებოდა დღევანდელ გასართობი მიმართულების სატელევიზიო ტენდენციებს, რადგან დღეისათვის სოციალური პლატფორმები დიდი სისწრაფით ანაცვლებს სატელევიზიო მიმართულებებს და ამ ტიპის გადაწყვეტა თავისთავად წარმატების გარანტი იქნებოდა სატელევიზიო თამაშისთვის. საზოგადოებრივი მაუწყებელი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც აღნიშნული პროექტი შეიძინა და 2018 წლის თებერვლიდან მაყურებელს საშუალება აქვს კვირაში ორჯერ იხილოს საყვარელი თამაში ტელეეთერით. სწორედ ასეთი ინოვაციური გადაწყვეტის და თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით დღეისათვის თამაში „მარტივი ლოგიკა“ ძალიან წარმატებული და პოპულარულია თითქმის ყველა პლატფორმაზე. 2019 წლის მეორე კვარტლის სტატისტიკური მონაცემები კი ასეთია: აღნიშნულ პერიოდში მომზადდა 20 გადაცემა. მასში მონაწილეობა მიიღო 124-მა ადამიანმა და პროექტის ფარგლებში გათამაშდა ოცდაათი ათას შვიდას ოთხი ლარი. გადაცემა მულტიმედიურ პლატფორმებზე საკმაოდ წარმატებულია. სოციალურ გვერდ Facebook -ზე ამ პერიოდისთვის შოუს 34000 გამომწერი ყავს და გარდა ამისა პარალელურად შექმნილია ათეულობით ჯგუფი, სადაც გაწევრიანებული მომხმარებლები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ შეხედულებებს გადაცემის შესახებ. Youtub არხზე კი, გადაცემის გარკვეული ეპიზოდების ნახვა 20 ათას აჭარბებს, რაც კარგი მაჩვენებელია თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღნიშნული გადაცემების ყურებადობას თამაშის მონაწილეების ცნობადობის არ განსაზღვრავს. 2019 წლის მეორე კვარტალში მობილურ აპლიკაციას სამი ახალი ტური დაემატა და ამ პერიოდში მისი გადმოწერების რიცხვი 100 000-ით გაიზარდა. აღნიშნული ტურები იყო თემატური და კონტინენტების მიხედვით დაყოფილი. თამაშის თითოეულ თემატურ ტურში კითხვები მომზადებული იყო კონტინენტის გეოგრაფიული, ისტორიული, ხელოვნების და სხვა ზოგადი მახასიათებლის მიხედვით. ივნისის თვეში, როგორც იგეგმებოდა, „მარტივი ლოგიკის“ საზაფხულო დამატება მომზადდა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ბავშვები და თამაშობდნენ პრიზებზე. როგორც მოსალოდნელი იყო, საბავშვო „მარტივ ლოგიკას“ ძალზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა 18 წლამდე ასაკის აუდიტორიისგან. აღნიშნული პროექტი ინოვაციურია ქართული ბაზრისათვის და, აქედან გამომდინარე, შესაბამისობაში მოდის საზოგადოებრივი მაუწყებლის ძირითად ორიენტირთან, ხოლო ალტერნატიული პლატფორმის გამოყენებამ გადაცემას ახალი სიცოცხლე შესძინა. „მარტივი ლოგიკა“-ს მობილური აპლიკაცია დღეს ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგულია რეგიონში. ეს სტატისტიკა კი, რეალურ საფუძველს ქმნის საზოგადოებრივ მაუწყებელზე წარმოებული პროდუქციის მულტიმედიური განვითარების საერთო მოდელის შესაქმნელად. შესაბამისად, მომდევნო კვარტალში იგეგმება მობილური აპლიკაციის კიდევ 3 განახლება, რაც გაზრდის „მარტივი ლოგიკის“ როგორც გადაცემის, ასევე პირველი არხის პოპულარობას.

ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი?! - ამერიკული კომპანია Metro Goldwyn Mayer-ის პროექტი "ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი?" პირველი არხზე 2018 წლიდან გადის. 2019 წლის მეორე კვარტალში მაყურებელმა ეთერში 11 გადაცემა იხილა. ამ პერიოდში სტუმრების მიერ მოგებულმა თანხამ შეადგინა 29 000 ლარი. პროექტის პირობის თანახმად თითოეულმა სტუმარმა მოგებული თანხა მოახმარა ქველმოქმედებას და იზრუნა საქართველოს მომავალი თაობის განათლების დონის გაუმჯობესებაზე. მნიშვნელოვანია, რომ ამ პერიოდში „ხარ თუ არა მეექვსეკლასელის?“ ეგიდით გადაცემის მონაწილე ცნობილი სახეები დაეხმარნენ სხვადასხვა რეგიონის 8 საჯარო სკოლას და 3 ნიჭიერ და გამორჩეულ ბავშვს. 2019 წლის მეორე კვარტალში შოუში მონაწილე ცნობილი სახეები სკოლების გარდა, იმ ნიჭიერი მოსწავლეებისთვის თამაშობდნენ, რომლებიც რაიმე ნიშნით წარმატებულები არიან, თუმცა, კიდევ უფრო დიდი წარმატების მიღწევაში და საკუთარი ნიჭის გავითარებაში მძიმე სოციალური პირობები უშლით ხელს. ეს ფაქტი გადაცემას კიდევ უფრო ინტერაქციულის ხდის, რადგან ამ ბავშვების დასახმარებლად არა მხოლოდ ჩვენი მოწვეული სტუმრები, არამედ თვითონ მაყურებელიც გამოთქვამს სურვილს. ასევე აღსანიშნავია, რომ ასეთი აქტიურობა და გადაცემაში საზოგადოების ყველა ფენის ჩართულობა გვეხმარება არხის მისიის შესრულებაში, კონკრეტულად კი, სწავლის რომანტიზებაში და ბავშვებისთვის იმ რწმენის გამყარებაში, რომ თუ კარგად სწავლობ, რომელი სოციალური ფენის წარმომადგენელიც არ უნდა იყო, გამჩნევენ, წარმატებული ხარ და საკუთარი ცოდნით შეგიძლია, შეცვალო არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვების მომავალიც.

შოუს განუყოფელი და განსაკუთრებული სეგმენტია მასში მონაწილე მეექვსეკლასელები. პროექტის შემქმნელების ერთ-ერთი მიზანი გამორჩეული ნიჭის, უნარების და, რაც მთავარია, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ბავშვების აღმოჩენაა. ასეთი მოსწავლეების შერჩევა კასტინგის საშუალებით ხდება. პროექტის მონაწილე ბავშვები დღეს უკვე საკმაოდ პოპულარულები და, რაც მთავარია, სამაგალითონი არიან თანატოლებში, რაც უმნიშვნელოვანესია სწავლის მოტივირებისა და პროპაგანდის მიმართულებით. ნიჭიერი მეექვსეკლასელის აღმოსაჩენად მისი-ივნისში ჩატარდა ქასტინგი მთელი საქართველოს მასშტაბით, სადაც მონაწილეობა 2500 - მა მოზარდმა მიიღო. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ამ გადაცემაში მოხვედრა და მონაწილეობა ბავშვებისთვის მნიშვნელოვანი და მიმზიდველია. ქასტინგის შედეგად შეირჩა 25 საუკეთესო მონაწილე.

ფერმა - 2019 წლის II კვარტლის მონაცემებით ეთერში გავიდა 10 გადაცემა. სატელევიზიო ბადიდან 2 გადაცემა ამოვარდა მინსკის ოლიმპიური თამაშების გამო. აღსანიშნავი იყო აპრილის დასაწყისში ბი-ბი-სი-ს ჟურნალისტის რეკომენდაციით და ჩართულობით მომზადებული გადაცემა ახალგაზრდა მესაქონლე ფერმერზე და იმავე გადაცემაში მომზადებული სიუჟეტი მაწვნის წარმოებაში ინოვაციურ მეთოდის გამოყენების შესახებ, რამაც მაყურებლის დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა, რაც აისახა მაღალ რეიტინგსა და „ფერმის“ ფეისბუქ გვერდის ლაიქებზე და კომენტარებზე. ბრიტანელ ჟურნალისტთან მუშაობამ და მასთან გავლილმა ტრენინგმა მნიშვნელოვანი გამოცდილება შესძინა მთელ შემოქმედებით ჯგუფს. მიმდინარე პერიოდში გადაცემების მომზადებისას აქცენტი გაკეთდა სტარტაპერებზე და აგროტურიზმზე. ვაჩვენეთ, როგორ ვითარდება მცირე და საშუალო ბიზნესი. მეორე კვარტლის სამ თვეში გადაცემების გარკვეული რაოდენობა შეეხო ინოვაციურ ფერმერებს და

ახალი ტექნოლოგიების წარმატებულ გამოყენებას, მაგ: ვირის რძისგან საპნის დამზადება, ბიომეურნეობებში მცენარეთა დაცვა-მოვლის ბიოსაშუალებების გამოყენება და სხვა... ფერმის ფეისბუქ გვერდზე გვაქვს ძალიან დიდი გამოხმაურება და დადებითი შეფასებები, როგორც კომენტარების ავტორები აღნიშნავენ, გადაცემა არის საჭირო და სასარგებლო, განსაკუთრებით დამწყები ფერმერების ინფორმირება-კონსულტირების საკითხში, რაც საშუალებას აძლევს მათ სწორად დაგეგმონ საკუთარი მეურნეობა! მომდევნო პერიოდში იგეგმება მზადება ახალი საეთერო სეზონისათვის, იგეგმება თემები, პერსონალები და გადაღებები, ასევე, ბი-ბი-სი-ს ჟურნალისტიკისგან მიღებული ცოდნის და გამოცდილების ახალი სეზონისთვის გამოყენება.

აკუსტიკა - გადაცემა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ეთნიკური უმცირესობის მუსიკას და მუსიკოსებს. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის იგეგმება მუსიკალური ცოცხალი სესიები, რომელის ნაწილიც უკვე იხილა გადაცემის მაყურებელმა. ეს კი ხელს უწყობს პოპულარული გავხადოთ ეთნიკური მუსიკა, ხელი შევუწყოთ თავად მუსიკოსებს და შემსრულებლებს, ქართულ საზოგადოებაში გზა გავუხსნათ და მივცეთ ფართო ინტეგრაციის საშუალება, და რაც მთავარია, გავზარდოთ შემოქმედებითი თვალსაწიერი თავად ქართველი შემსრულებლისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ფესტივალმა არტგენმა 2019 წლის თბილისის ფორუმი სწორედ კუსტიკის კონცერტით გახსნა. უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის სეზონის ერთ - ერთი პრიორიტეტი ემიგრაციაში მყოფი მუსიკოსების პოპულარიზაცია იყო. გადაცემა „აკუსტიკა“ გეგმავს მაყურებელს გააცნოს ახალბედა მუსიკოსები, ასევე დებიუტანტები, რომლებიც განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩევიან, მაგრამ არ აქვთ საშუალება, ხმა მიაწვდინონ მსმენელს. პროექტის მიზანია მსგავსი შემსრულებლების მოძიება, რეპერტუარის შეთანხმება და მათი პოპულარიზაცია, როგორც სოციალური ქსელის საშუალებით, ასევე - საეთერო დროით.

ტელეფილმები

ტელეფილმები და ეპოქა

ზოგადი სტატისტიკური მონაცემები

დასრულდა დოკუმენტური ფილმი „გურამ ბზვანელი“ (ავტორი ლევან ბზვანელი, რეჟისორი ლევან კიტია) გადაღების ეტაპი, მიმდინარეობს მონტაჟი.

დასრულდა გადაღებები „სტოქსი- პოლკოვნიკის დახეული წერილები“. ჩაბარდა დამონტაჟებული 11 სერია, მიმდინარეობს დარჩენილი სერიის მონტაჟი.

დასრულდა მრავალსერიანი ფილმების ციკლი „საიდუმლო კარტოთეკის“ (ავტორი: მიხეილ ბასილაძე. რეჟისორი: შალვა შენგელი) 1 ფილმის 2 სერიის მონტაჟი.

დასრულდა დოკუმენტური სერიალის „პრესა და ერის“ (ავტორი თამაზ ჯოლოგუა, რეჟისორი ანდრო ჭიაურელი) 1 ფილმის 2 სერიის გადაღების პროცესი, მიმდინარეობს მონტაჟი.

დასრულდა ფილმი „ივანე ბერიტაშვილის“ (ავტორი არჩილ შუბაშვილი, რეჟისორი ბესიკ გაფრინდაშვილი) გადაღებისა და მონტაჟის პერიოდი, მიმდინარეობს ფერების კორექცია და ხმის სამუშაოები.

დასრულდა გადაღებები „დაკარგული წიგნები“ (ავტორი აკა მორჩილაძე, რეჟისორი გიორგი ებრალიძე) მესხეთის ეპიზოდები.

თბილისის თეატრალურ უნივერსიტეტთან ერთად სადებიუტო მოკლემეტრაჟიან ფილმზე გამოცხადებულ კონკურსში გამოვლინდა 7 გამარჯვებული პროექტი, რომლის დაფინანსება 2019 წელს არის გათვალისწინებული.

პროექტის ფარგლებში ამ ეტაპზე დაფინანსდა 5 მოკლემეტრაჟიანი სადებიუტო ფილმი:

1. „ფოტო გადაღება“ -რეჟისორი ილია ასიტაშვილი
2. „მილა“ - რეჟ: სალომე ვეფხვაძე
3. „სასტუმრო მირაჟი“ - გურამ ბაქრაძე
4. “flyt” - გრიგოლ ნოდია
5. „შავი ზღვა“ - თინათინ ემირიძე

ორი პროექტის „თანაგრძნობა“ (ზვიად ციკოლია) და „ღამის სკოლა“(გრიგოლ სამსიანი) ავტორებთან მიმდინარეობს ხელშეკრულებაზე მუშაობა.

ხელშეკრულება გაფორმდა მხატვრული ფილმი „სამურაი დასვენების ჟამს“ (რეჟ: ლევან თუთბერიძე, სცენარის ავტორი: აკა მორჩილაძე) თანაწარმოებაზე.

ხელშეკრულება გაფორმდა დოკუმენტური ფილმის „მულამათი“ (რეჟ:თამთა გაბრიჩიძე) წარმოებაზე.

ხელშეკრულება გაფორმდა ლანა ლოღობერიძის ახალი მხატვრული ფილმის „ მინდვრის ყვავილები“ ექსკლუზიურ ჩვენებაზე.

ჩაეშვა ახალი და გრძელდება ძველი პროექტები, რომლებიც ჩაეშვა 2019 წლის იანვრიდან.

1. საიდუმლო კარტოთეკა (კრიმინალური საბჭოთა საქართველო) - მრავალსერიანი ფილმების ციკლი (ავტორი: მიხეილ ბასილაძე, რეჟისორი: შალვა შენგელი 2 ფილმის 3-4 სერია
2. პრესა და ერი- 4 სერიანი ფილმი (ავტორი თამაზ ჯოლოგუა, რეჟისორი ანდრო ჭიაურელი) 2 ფილმის 3-4 სერია
3. გაიხსნა პროექტი „პეტრე მელიქიშვილი“ (ავტორი არჩილ შუბაშვილი, რეჟისორი ბესიკ გაფრინდაშვილი)
4. თბილისი კართან - 8 სერია (ავტორი აკა მორჩილაძე, რეჟისორი გიორგი ებრალიძე)
5. დაკარგული წიგნები-10 სერია (ავტორი აკა მორჩილაძე, რეჟისორი გიორგი ებრალიძე)

საქართველოს რადიო

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა რადიომაუწყებლობის ეფექტურობის გასაზრდელად 2018 წლის აგვისტოში (ბრძანება №167) დაიწყო პროექტი საქართველოს რადიო. პროექტის მიზნია:

- რადიოს ეფექტურობის გაძლიერება
- რადიოს მოქნილობის გაზრდა და თანამედროვე ტენდენციებზე მორგება
- აუდიტორიის გაფართოება
- აუდიტორიის ასაკობრივი სპექტრის გაფართოება
- აუდიტორიის გაფართოება ავტომსმენელის ხარჯზე
- აუდიტორიის მიზნობრივი სეგმენტების მოცვა
- მაუწყებლობის ტერიტორიების გაზრდა და ტექნიკური გაუმჯობესება

2019 წლის მეორე კვარტალში წარმოებაში იყო შემდეგი პროექტები:

- მუსიკის-12-მოციქული (მუსიკალურ-შემეცნებითი)
- სი ბემოლ ვიტამინი (მუსიკალურ-შემეცნებითი)
- რადიოკალენდარი (კულტურა)
- აკუსტიკა (მუსიკალურ-შემეცნებითი)
- ისტორიის პოპ გაკვეთილები (მუსიკალურ-შემეცნებითი)
- არტნიუსი (კულტურა)
- ჩვენი ფერმა (საკონსულტაციო)
- დილის ექსპრესი (დილის მუსიკალურ-შემეცნებითი, გასართობი)
- უცნობი მუსიკა (მუსიკალურ-შემეცნებითი)
- მთელი ეს როკი (დილის მუსიკალურ-შემეცნებითი, გასართობი)
- ჯაზოფრენია (მუსიკალურ-შემეცნებითი)
- მსოფლიო ამბები (საზოგადოებრივ-პოლიტიკური)

სპორტის მოყვარულთათვის 2019 მეორე კვარტლიდან დაემატა რატი ხვისტანის რადიო გადაცემა „ლეგიონი“, სადაც მსმენელს აქვს საშუალება ყოველკვირეულ რეჟიმში მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია სპორტული სიახლეების შესახებ. მოვისმენთ, როგორ აფასებენ ქართველ სპორტსმენებს საერთაშორისო პრესაში და თავად სპორტსმენების შეფასებებს.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება მაუწყებლობის წვდომის გაუმჯობესების კუთხით. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა კომუნიკაციების ეროვნული კომისიასთან და ტელერადიოცენტრთან, რათა წლის ბოლომდე მაუწყებლობამ მოიცვას მთელი საქართველო. ამ მხრივ უკვე არის არსებითი მიღწევები, დაზუსტდა და დაკონკრეტდა ყველა ის ტექნიკური საშუალება, რითაც შესაძლებელი იქნება დასახული მიზნის მიღწევა. შემდეგი ეტაპია ადგილზე ტექნიკური სამუშაოები და შემდგომ ტესტირების რეჟიმი. ამავე პროექტის ფარგლებში, ავტომსმენელთა უკეთ მოცვის მიზნით, დაიწყო კენტ მეთაუდებიან სიხშირეებზე გადასვლა (აშშ-დან იმპორტირებული მანქანების უმრავლესობა იჭერს მხოლოდ კენტ მეთაუდებიან სიხშირეებს). კენტ მეთაუდებიან სიხშირეებზე უკვე გადავიდა თითქმის ყველა გადამცემი, რომელთა სიხშირეების ცვლილება საერთაშორისო შეთანხმებებს არ მოითხოვს.

ასევე მიმდინარეობს გადამცემების RDS სისტემებით აღჭურვა. RDS სისტემები უზრუნველყოფს არხის ცნობადობას და ავტომობილის ერთი სამაუწყებლო ზონიდან მეორეში გადასვლის დროს ახალ სიხშირეზე ავტომატურ გადაყვანას.

ტელერადიოცენტრთან შეთანხმებული სამუშაო გეგმის გრაფიკი ტექნიკური მიზეზების გამო გადაიხედა. შედგა ახალი გრაფიკი, რის მიხედვითაც 2019 წლის ბოლომდე სამაუწყებლო ზონები დაიფარება და მაუწყებლობა გაუმჯობესდება სამ ეტაპად:

I ეტაპი- ივლისი- აგვისტო

დაიწყება მაუწყებლობა (RDS-ით) 13 სამაუწყებლო ზონაში:

1. დუშეთი-მჭადიჯვარი
2. ბარისახო
3. ლაგოდეხი
4. საგარეჯო
5. ცაგერი
6. ონი
7. პატარა ონი
8. გლოლა
9. ხაშური
10. ბორითი
11. ასპინძა
12. ქედა
13. შუახევი

ონსა და ფოთში ძველი გადამცემი შეიცვლება ახლით (RDS-ით)

II ეტაპი- სექტემბერი

დაიწყება მაუწყებლობა (RDS-ით) 11 სამაუწყებლო ზონაში:

1. ჩოხატაური
2. ნაბეღლავი
3. მარტვილი
4. გუდაური
5. მაღაროსკარი
6. შატილი
7. უშგული
8. იდლიანი
9. გორამირი
10. ბაკურიანი
11. ფლატე

ძველი გადამცემები და ანტენები შეიცვლება, დაემატება RDS სისტემა 8 სამაუწყებლო ზონაში

1. გორი(საქართველოს რადიო მუსიკა)
2. ახალქალაქი
3. დმანისი
4. ჭიათურა

5. მესტია
6. გორი (*საქართველოს რადიო*)
7. ხულო
8. ყვარელი

III ეტაპი- ოქტომბერი

დაიწყება მაუწყებლობა (RDS-ით) 3 სამაუწყებლო ზონაში:

1. შრომა
2. ხევი
3. ბაზი

ძველი გადამცემები და ანტენები შეიცვლება, დაემატება RDS სისტემა 8 სამაუწყებლო ზონაში

1. თბილისი - არხის *საქართველოს რადიო მუსიკა* გადამცემს დაემატება RDS სისტემა
2. ოზურგეთი
3. თუშეთი-ომალო
4. სტეფანწმინდა
5. ამბროლაური

ამ პროექტის წყალობით, საქართველოს უმეტეს ტერიტორიაზე (24 სამაუწყებლო ზონა) საქართველოს რადიო პირველად გაჟღერდება, ხოლო დანარჩენ ტერიტორიაზე (18 სამაუწყებლო ზონა) მაუწყებლობის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.



მედია და კომუნიკაცია

წარმოდგენილი დოკუმენტი ასახავს 2019 წლის II კვარტლის განმავლობაში მედიის ბლოკის საქმიანობის შემაჯამებელ ანგარიშს.

○ ცვლილებები ბაღეში

2019 წლის II კვარტალში პირველი არხის სატელევიზიო ეთერს დაემატა შემდეგი გადაცემები:

- “ზიზნესპარტნიორი“
(გადაცემა ეთერში გავიდა 2019 წელის 15 აპრილს)
- “მასტერშეფი“ I სატელევიზიო სეზონი
(გადაცემა ეთერში გავიდა 2019 წელის 18 მაისს)
- რა? სად? როდის? I სატელევიზიო სეზონი
(გადაცემა ეთერში გავიდა 2019 წელის 25 მაისს - დასრულდა 6 ივლისს)
- ქართული დეტექტიური სერიალი: „ვაკანსია მკვლელის თანამდებობაზე“
(სერიალი ეთერში გავიდა 2019 წელის 2 ივლისს. სულ: 12 სერია)
- „მარტივი ლოგიკა“ - საბავშვო
(გადაცემა ეთერში გავიდა 2019 წელის 19 ივნისს. სულ 6 გადაცემა)

2019 წლის II კვარტალში დასრულებული გადაცემები:

- “წიგნების თარო“- II სატელევიზიო სტუდენტური სეზონი
(გადაცემა ეთერში გავიდა 2019 წლის 16 მარტს, დასრულდა - 29 ივნისს. სულ 15 გადაცემა).
- “წიგნების თარო“- VI სატელევიზიო სასკოლო სეზონი
(გადაცემა ეთერში გავიდა 2019 წლის 14 მარტს, დასრულდა - 28 ივნისს. სულ 33 გადაცემა).
- „რანინა“ II სატელევიზიო სეზონი
(გადაცემა ეთერში გავიდა 24 მარტს, სეზონი დასრულდა - 2019 წლის 26 მაისს. სულ 10 გადაცემა).
- ტელე-თამაში: „ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი?!“
(გადაცემა ეთერში შევიდა 19.09 .2018 წელს, დასრულდა - 12.06 .2019- ში, სულ 36 გადაცემა).

უნდა აღინიშნოს პირველი არხის 26 მაისის ეთერის შესახებ, სადაც, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, არხს ჰქონდა 10 საათიანი უწყვეტი პირდაპირი ეთერი. გარდა ამისა, 20:00 საათზე დაიწყო ცენტრალური კონცერტის ტრანსლირება, რომელიც რესპუბლიკის მოედანზე წარმოდგენილი იყო საბავშვო მუსიკალური კონკურსის „რანინას“ ფინალით და გადაცემა „აკუსტიკის“ მიერ მომზადებული მუსიკალური კონტენტით.

ასევე, „ევროვიზია - 2019“ - სამი კონცერტის ტრანსლაცია ისრაელიდან, 14,16, 18 მაისი.

აქვე უნდა გამოიყოს ორი მნიშვნელოვანი სპორტული ასპარეზობა, რომელმაც შეცვალა სამაუწყებლო ბადე - 6-13 აპრილს ბათუმში გამართული ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში და 21-30 ივნისი - მინსკის ევროპული თამაშები, რომლის ტრანსლირებაც ხდებოდა პირველი და მეორე არხის საშუალებით.

o მარკეტინგის სამსახური

პირველი არხის მედიამხარდაჭერით, აპრილის თვეში, თბილისში გაიმართა დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „სინედოკ-თბილისი“. იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის, სხვა მაუწყებლებისგან განსხვავებით, პრიორიტეტულია ქართული კინოს მხარდაჭერა, ის აქტიურად მონაწილეობს ქართული ფილმების წარმოების პროცესში. ქართველი კინემატოგრაფისტების მხარდაჭერისა და ერთჯერადი ფულადი წახალისების მიზნით, პირველი არხის მიერ გამოიყო საპრიზო ფონდი - 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით, რომლის მფლობელიც, ფესტივალ „სინედოკ-თბილისის“ საერთაშორისო ჟიურის გადაწყვეტილებით, რეჟისორი მარი გულბიანი გახდა.

მედია მხარდაჭერა გაეწია ისეთ მასშტაბურ ღონისძიებებს, როგორებიცაა - მსოფლიო რბენა და Tbilisi Open Air.

პირველი არხის ინიციატივით გაიმართა შეხვედრა გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან, აღნიშნული მიმართულებით გამოცდილების გაზიარების და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივის დასახვისთვის.

2019 წლის პირველ კვარტალში ახალი და მიმდინარე გადაცემების პრომოუშენი მიმდინარეობდა სხვადასხვა სარეკლამო პლატფორმაზე.

ჟურნალში OK განთავსდა შემდეგი გადაცემების და პროექტების საპრომოუშენო მასალები.

- აპრილის ნომერი -2019 წლის ევროვიზიის კონკურსი
- მაისის ნომერი-„რანინა“
- ივნისი-„მასტერშეფი“

ვიდეომონიტორზე, რომელიც განთავსებულია კოსტავას 68-ში აპრილი, მაისი, ივნისის თვეში განთავსდა შემდეგი გადაცემების ვიდეორგოლები:

- აკუსტიკა
- წიგნების თარო
- მუსიკის 12 მოციქული
- ღამის შოუ
- იდეალური დედა
- მარტივი ლოგიკა
- მასტერშეფი
- ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი?
- რა? სად? როდის?
- რანინა

რადიოებში „ფორტუნა“, „ფორტუნა+“ და რადიო „სინერჯი“ აპრილი, მაისი, ივნისის თვეში განთავსებული იყო შემდეგი გადაცემების აუდიორგოლები:

- აკუსტიკა
- საქართველოს ვარსკვლავი
- რანინა
- ხალხური სიმღერის გაკვეთილები

ვებ გვერდებზე cavea.ge და kinoafisha.ge განთავსებული იყო შემდეგი გადაცემების ბანერები:

- ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი?
- წიგნების თარო
- ღამის შოუ
- აკუსტიკა
- მარტივი ლოგიკა

ასევე, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა მოქალაქეების წერილების და სატელეფონო ზარების მონიტორინგი და უკუკავშირის განხორციელება.

2019 წლის საეთერო სეზონისთვის განისაზღვრა გადაცემების სასაჩუქრე პაკეტების ბრენდირება და მათ შესაძენად ჩატარდა ტენდერი. 2019 წლის განმავლობაში, გადაცემებისთვის, რომელშიც მაღალია საზოგადოების ჩართულობა, ეტაპობრივად ხორციელდება სასაჩუქრე ატრიბუტიკით უზრუნველყოფა.

o საერთაშორისო მიმართულება

საერთაშორისო მიმართულებით ორგანიზება გაეწია მნიშვნელოვან შეხვედრებს, ტრენინგებს და ვორქშოფებს. მათ შორის, აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, ევროპის მაუწყებელთა კავშირის მხარდაჭერით, EBU აკადემიის რეგიონალური ტრენინგ ცენტრი დააფუძნა, სადაც მონაწილეობა საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის მედია წარმომადგენლებმა მიიღეს. ევროპის მაუწყებელთა კავშირის სხვადასხვა კონფერენციებზე როგორც არის: რადიო ასამბლეა, მედია სამიტი და გენერალური ასამბლეა, საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე სიტყვით წარდგა და სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის, გენდერულ თანასწორობაზე, დიგიტალურ ტრანსფორმაციაზე და ზოგადად, საზოგადოებრივი მაუწყებლის როლსა და გამოწვევებზე ისაუბრა. საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლები არჩეულ იქნენ ევროპის მაუწყებელთა კავშირის რადიო (ელენე გაბაშვილი - საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი) და იურიდიული (ელენა მიხაილოვა -

იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი) კომიტეტების წევრებად. ხოლო გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე, თინათინ ბერძენიშვილი დასახელებულ იქნა ევროპის მაუწყებელთა კავშირის გენდერული თანასწორობის ჯგუფის ხელმძღვანელად.

o მივლინებები

3 თვის განმავლობაში მომზადდა 298 სამივლინებო განაცხადი, აქედან შეძენილ იქნა 44 ავიაბილეთი, 11 მატარებლის ბილეთი და საზოგადოებრივი მაუწყებლის 529 თანამშრომლისთვის სასტუმროს მომსახურება.

o კვლევისა და ანალიტიკის ჯგუფი

ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს სატელევიზიო ბაზრის კვლევა. საზოგადოებრივი მაუწყებლის და სხვა ტელეარხების გადაცემების მონიტორინგი და ანალიზი. მონიტორინგი ხორციელდება “*ქაქის მტერს*“-ების საშუალებით.

კვლევისა და ანალიტიკის ჯგუფი აქტიურადაა ჩართული 2019 წლის სეზონის მექანიკური პროდუქციის (მხ.ფილმები, ტელესერიალები, დოკ.სერიალები) შერჩევის პროცესში. პროცესი გულისხმობს: მსოფლიოს მსხვილი მწარმოებლების მიერ შემოთავაზებული პროდუქციის შესწავლას, განხილვას, შეფასებას და რეკომენდაციების შემუშავებას. ამ მიზნით, ჯგუფის თანამშრომელმა თამარ ახვლედიანმა (სოციოლოგი) მონაწილეობა მიიღო ბუდაპეშტში გამართულ კინობაზრობაში „NATPE 2019“.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გაშუქებული ინფორმაციის პროგრამულ პრიორიტეტებთან შესაბამისობის გაზომვის მიზნით, მომზადდა პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს მაუწყებლის ყველა პლატფორმაზე მონიტორინგის უწყვეტი პროცესის წარმართვას. მეორე კვარტალში დაიწყო ამ პროექტის განვითარების შემდეგი ეტაპი - სპეციალური პროგრამის შექმნა. მიმდინარეობს კონსულტაციები, იმისათვის, რომ პროგრამა იყოს მოქნილი და შესაძლებლობას აძლევდეს მომხმარებელს სხვადასხვა ჭრილში დაამუშაოს მონაცემები. ზუსტად და სწრაფად შევძლოთ ანგარიშების მომზადება სხვადასხვა კრიტერიუმის და მიმართულების მიხედვით.

მონიტორინგის მასალების დამუშავების და ანალიზის საფუძველზე მომზადდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველა პლატფორმაზე შემდეგი თემების გაშუქების

ანგარიშები: გენდერული თანასწორობა, უმცირესობები, ქალთა უფლებები, ოჯახური ძალადობა.

ჩატარდა პირველი არხის გადაცემების: „ახალი დღე“ და „ნაშუადღევს“ თვისობრივი კვლევა.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე დასახული იყო შემდეგი ამოცანები:

- სატესტო გადაცემების - „ახალი დღე და „ნაშუადღევს“ შეფასების კრიტერიუმების დადგენა.
- გადაცემის საიმიჯო პარამეტრების განსაზღვრა, არხის იმიჯის შეფასება და გავლენა გადაცემაზე
- გადაცემის ფორმატის შეფასება
- ცალკეული ბლოკების და დრამატურგიის შეფასება
- გადაცემის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა
- გადაცემის ზემოქმედების/გავლენის შეფასება
- მსგავსი ფორმატის გადაცემების შედარებითი ანალიზი
- წამყვანების შეფასება სხვადასხვა კრიტერიუმით
- სტუდიის შეფასება სხვადასხვა კრიტერიუმით

რეკომენდაციათა პაკეტის მომზადება თითოეული გადაცემის კონცეპტუალური და ტექნიკური ცვლილებების შესახებ.

○ **სარეკლამო სამსახური**

სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს შეთავაზებულ იქნა მეორე კვარტლის კომერციული რეკლამის განთავსების პირობები და სასპონსორო, სარეკლამო შეთავაზებები შემდეგ ტრანსლაციებში: „კალათბურთში 2019 წლის მსოფლიო ჩემპიონატი“, „ფეხბურთში 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები“, „რაგბში მსოფლიო ჩემპიონატი“; „რაგბში ევროპის თასის“, „ტესტ მატჩები“, „მინსკის ოლიმპიადა“ და ევროვიზიის საერთაშორისო სიმღერის კონკურსი.

მომსახურეობა გაეწიათ სოციალურ, კომერციულ რეკლამებს, სასპონსორო მომსახურეობებსა და ინტეგრაციებს.

ახალ გადაცემებთან დაკავშირებით მიმდინარეობდა ინტენსიური შეხვედრები კომერციულ სექტორთან.

მეორე კვარტალში სატელევიზიო კომერციულმა რეკლამის საბარტერო მომსახურების ღირებულებამ შეადგინა **88 638 ლარი და 88 თეთრი და 3 000 აშშ დოლარი** დღგ-ს ჩათვლით; სატელევიზიო რეკლამის ღირებულებამ- **256 288 ლარი და 32 თეთრი და 65 090 აშშ დოლარი 93 ცენტი** დღგ-ს ჩათვლით.

მეორე კვარტალი 2019		
დასახელება	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
ბარტერი	3 000,00	88 638,88
ტელე განთავსება	65 090,93	256 288,32
რადიო განთავსება	0,00	0,00

მონაცემები თვეების მიხედვით:

აპრილი		
დასახელება	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
ბარტერი	1 000,00	12 960,00
ტელე განთავსება	11 071,57	28 340,01
რადიო განთავსება	0,00	00,00

მაისი		
დასახელება	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
ბარტერი	2 000,00	34 353,05
ტელე განთავსება	21 186,03	90 367,24
რადიო განთავსება	0,00	0,00

ივნისი		
დასახელება	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
ბარტერი	0,00	41 325,83
ტელე განთავსება	32 833,33	137 581,07
რადიო განთავსება	0,00	0,00

o **ვიზუალური გაფორმების ჯგუფი**

საანგარიშო პერიოდში, ვიზუალური გაფორმების სამსახურმა იმუშავა მიმდინარე თუ ახალ პროექტებზე. დამზადდა პრომოები და ანონსები ყველა გადაცემისთვის, მხატვრული და დოკუმენტური ფილმებისა და სერიალებისთვის, ახალი პროექტებისა და ღონისძიებებისთვის („26 მაისი“), მათ შორის, დიდი სპორტული ტრანსლაციებისთვის („ევროპული თამაშები მინსკი-2019“, UFA ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი, UFA ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი) და ასევე სხვა მიმდინარე სპორტული მატჩებისათვის. შეიქმნა და განხორციელდა ვიზუალური გაფორმების ახალი კონცეფციები. დაიწერა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრომოსა თუ ანონსის ტექსტი. შემუშავდა ონლაინ პლატფორმისთვის აპლიკაციების, გადაცემების ბანერების დიზაინი და შესრულდა სხვადასხვა სახის გრაფიკული სამუშაოები მიმდინარე გადაცემებისა, თუ დროებითი პროექტებისთვის.

საერთო ჯამში დამზადდა :

პროდუქტი	რაოდენობა
ახალი გადაცემების სრული შეფუთვა	6
პრომო	41
ანონსი	198
ლოგო	8
ქუდი	7
გრაფიკული ტიხარი	22
ვიდეო ტიხარი	6
საეთერო შეფუთვის ელემენტები	16
გრაფიკული ფონი	16
ბანერი (WEB,FB)	57
კლიპი	7
Info - გრაფიკა	11

ჯ
გუფ
ის
მე
რ
მომ
ზად
ებუ
ლი
ანო
ნსებ
ო

შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე:

https://1tv.ge/show/anonsebi/?tab=video&video_category=0

○ მზა პროდუქციის შესყიდვისა და თარგმნა-გახმოვანების სამსახური

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში, კომპანია **“Film Quest Entertainment”**-გან პირველმა არხმა შეისყიდა სერიალები (**“Midsomer Murders”**, **“Miss Fischer Murder Mysteries”**) და მხატვრული ფილმები. მიღებულ იქნა პროდუქცია და დაიწყო თარგმნის პროცესიც. ასევე, მიმდინარეობდა **“LLC Ignition”**-გან შესყიდული სერიალების **“Good Doctor”** და **“Timeless”** თარგმნა-გახმოვანება.

მიმდინარე წლის აპრილის თვეში, პირველი არხის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სატელევიზიო ბაზრობაში ქალაქ კანში **MIPTV 2019** და დაესწრნენ **RAI**-ს სკრინინგს იტალიის ქალაქ ტურინში.

“European Olympic Committees”-თან 2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, 2019 წლის მინსკის ევროპის ოლიმპიური თამაშების ტრანსლირება მიმდინარეობდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ორივე არხზე, პირდაპირ ეთერში.

გახმოვანების ჯგუფმა 2019 წლის მეორე კვარტალში გაახმოვანა მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, აგრეთვე მხატვრული სერიალები. უკვე საბოლოო სახით, ანუ მასტერინგის ჩათვლით, თარგმნა-გახმოვანების ჯგუფმა გაახმოვანა **327** საათი. აპრილში გახმოვანდა **108** სთ, მაისში **119** სთ, ივნისში - **100** საათი. პროდუქციის დიდი ნაწილი გახმოვანებულია ორ ხმაში. მხატვრული ფილმების გარკვეული ნაწილი გახმოვანდა სამ და ოთხ ხმაშიც კი.

○ ონლაინ მედია

საზოგადოებრივი მაუწყებლის ონლაინ მედიის ჯგუფი აგრძელებს ვებპლატფორმაზე **-1tv.ge** მუშაობას. შვიდენოვან საინფორმაციო პლატფორმაზე კვლავ გრძელდება როგორც მაუწყებლის ტელე და რადიოგადაცემების ატვირთვა, ასევე დამოუკიდებელი ვებპროექტების წარმოება.

მომხმარებელი კვლავ აქტიურად იყენებს ახალი ამბების მობილურ აპლიკაციას. განახლდა ახალი ამბების აპლიკაცია **Android**-ის მომხმარებლებისთვის.

ასევე განახლება შეეხება **IOS** პლატფორმაზე მომუშავე სმარტფონებს.

დასრულდა აპლიკაციის „მოქალაქე რეპორტიორი“ ტესტირება. „მოქალაქე რეპორტიორის“ გვერდზე ფოტო და ვიდეო მასალის განთავსება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, ნებისმიერ თემასთან დაკავშირებით. უახლოეს დღეებში იგეგმება აპლიკაციის პრეზენტაცია.

დასრულდა მუშაობა საქართველოს რადიოს აპლიკაციაზე Android-ისა და IOS პლატფორმაზე მომუშავე სმარტფონებისთვის. აპლიკაცია საშუალებას მისცემს მომხმარებელს საქართველოს რადიოს ორივე არხს, საქართველოს რადიო Fm 102.3-ს და საქართველოს რადიო მუსიკა Fm 100.9-ს, მოუსმინოს ლაივ რეჟიმში, ასევე, შეუძლია ისარგებლოს გადაცემების გადახვევის ფუნქციით ერთი კვირის განმავლობაში. აპლიკაციის გამოყენება შეუძლია როგორც Android, ისე iOS - მომხმარებელს.

ონლაინ მომხმარებელთა რაოდენობა დინამიურად ზრდადია ყველა პლატფორმაზე:

მატება (წინა კვარტალთან შედარებით):

29,2%- ვიზიტი საიტზე;

30,6%- უნიკალური მომხმარებელი.

1tv.ge საიტის სტატისტიკა

II კვარტალი 2019	I კვარტალი 2019
ვიზიტი საიტზე - 9,726,000	ვიზიტი საიტზე - 7,527,000
უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 86,94	უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 66,561
საშუალოდ დღეში ვიზიტი: 106,882	საშუალოდ დღეში ვიზიტი: 84,573
მაქსიმალური მაჩვენებელი - 395,501 (21 ივნისი, 2019)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 232,000 (23 მარტი, 2019)

იუთუბარხების სტატისტიკა


II კვარტალი 2019	I კვარტალი 2019
ნახვა - 33,656,202	ნახვა - 20,479,689
საშუალოდ დღეში ნახვა - 369,848	საშუალოდ დღეში ნახვა - 230,108

მაქსიმალური მაჩვენებელი - 848,099
(21 ივნისი, 2019)

მაქსიმალური მაჩვენებელი - 379,534
(24 მარტი, 2019)

დღევანდელი მდგომარეობით, Youtube-არხების სტატისტიკით, პირველი არხი ლიდერია ქართულ მედიაში.

ვიზიტები YouTube-არხებზე 2019 წელს



ტოპ20 პოსტი საიტზე


II კვარტალი 2019

	9,726,289 % of Total: 100.00% (9,726,289)	7,834,529 % of Total: 100.00% (7,834,529)	00:02:42 Avg for View: 00:02:42 (0.00%)
1. ახალი ამბები - 1TV	987,257 (10.15%)	392,304 (5.01%)	00:02:26
2. Live - 1TV	305,953 (3.15%)	208,885 (2.67%)	00:03:23
3. ხალხის რჩეული - კიდევ ერთი მოსწავლე კემბრიჯში - წიგნების თარი	138,980 (1.43%)	69,041 (0.88%)	00:00:33
4. საქართველოს პირველი არხი - 1TV	77,684 (0.80%)	52,060 (0.66%)	00:00:47
5. აკაკი ბობოხიძემ რუს დეპუტატებს წყალი შესახა [ვიდეო] - 1TV	75,755 (0.78%)	70,051 (0.89%)	00:04:23
6. Новости - 1TV	67,768 (0.70%)	24,238 (0.31%)	00:01:59
7. საქართველოს პირველი არხის ვიდეოკადრები „რუსთაველის“ მეტროდან, სადაც ორ ახალგაზრდას ფიზიკურად გაუსწორდნენ - 1TV	62,455 (0.64%)	57,492 (0.73%)	00:03:28
8. You searched for - 1TV	47,311 (0.49%)	15,563 (0.20%)	00:04:20
9. ვლადიმირ ზელენსკი - პრეზიდენტი არ არის ხატი, დაკიდეთ კაბინეტებში შეიღების ფოტოები და ყოველი გადაწყვეტილების წინ უყურეთ მათ თვალში - 1TV	43,254 (0.44%)	39,752 (0.51%)	00:02:24
10. ექიმი - პარლამენტთან დამავებულ ორ ადამიანს თვალის ამოღება დასჭირდა - 1TV	39,923 (0.41%)	37,764 (0.48%)	00:04:23
11. გადაცემები - 1TV	37,641 (0.39%)	24,758 (0.32%)	00:00:43
12. 2 არხი - 1TV	37,222 (0.38%)	23,028 (0.29%)	00:03:28
13. მოამბე - 1TV	36,098 (0.37%)	13,215 (0.17%)	00:01:13
14. ექიმების განცხადებით, აქციაზე დამავებულ საქართველოს პირველი არხის ოპერატორს მხედველობაზე პრობლემა არ შეექმნება - 1TV	36,072 (0.37%)	34,708 (0.44%)	00:04:39
15. სპორტი - 1TV	31,540 (0.32%)	17,462 (0.22%)	00:01:31
16. 1 არხი - 1TV	30,838 (0.32%)	21,177 (0.27%)	00:03:05
17. „რუსთაველის“ მეტროში ორ ახალგაზრდა მამაკაცს ფიზიკურად გაუსწორდნენ - 1TV	29,950 (0.31%)	26,704 (0.34%)	00:02:43
18. Fb-live - 1TV	28,827 (0.30%)	16,148 (0.21%)	00:00:25
19. ისტორიაში უდიდესი ბირთვული კატასტროფის შემდეგ, ჩერნობილში ისეთი რამ ზდება, რასაც არავინ ელოდა - 1TV	27,999 (0.29%)	26,125 (0.33%)	00:06:09
20. რუსეთის მოჭლაკეები საქართველოსთან ავიამობოსელის შენარჩუნებისთვის პეტციას აწერენ ხელს - 1TV	27,550 (0.28%)	24,557 (0.31%)	00:03:09


ფეისბუქ-გვერდი - პირველი არხი (2019 წლის მორე კვარტალი)

ვიდეოების საერთო ნახვა - 23.4 მილიონი - წინა კვარტალთან შედარებით ნახვები გაზრდილია 23.4%-ით

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 818.5 ათასი - წინა სამ თვესთან შედარებით გაზრდილია 5.74 %-ით



გვერდის საერთო მოწონებების (ლაიქების) რაოდენობა 271,180 - გაზრდილია 12%-ით



წარმოებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ბლოკი

(გავრცელების პლატფორმები, შესრულებული ტექნიკური სამუშაოები)

რადიომაუწყებლობა:

2019 წლის დასაწყისში კომუნიკაციების ეროვნულ მარეგულირებელ კომისიას გაეგზავნა მოთხოვნა FM დიაპაზონში დამატებითი სიხშირეების გამოყოფის შესახებ. კომისიამ შეიმუშავა ახალი სიხშირული გეგმა ამ პროექტისათვის. შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ თანამშრომლების მიერ ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები რადიოსამაუწყებლო ქსელის განვითარების პროექტისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მომზადება/გამართვის მიმართულებით, რაც საშუალებას მოგვცემს, 2019 წლის ბოლოსათვის გავაორმაგოთ ქსელში ჩართული გადამცემების რაოდენობა. გადამცემი აპარატურის შემოტანის და დაგეგმილ საიტებზე ინსტალაციის სამუშაოები აქტიურ ფაზაში 2019 წლის აგვისტოდან შევა.

რადიოს აუდიო/ვიდეო ნაკადური მაუწყებლობისათვის ინსტალირდა რადიოს სტუდიიდან ვებსთრიმერისათვის ვიდეოსიგნალის მისაწოდებლად განკუთვნილი ახალი, მაღალი გარჩევადობის, HD 1080i/50 ფორმატის მოძრავი კამერები და მართვის პულტი. ამ ეტაპზე საჭიროა ვიდეომიქშერის, ავტომატიზაციისა და ტიტრირება/გრაფიკის მანქანის უზრუნველყოფა.

ტელემაუწყებლობა:

DVB-T2 სატელევიზიო ტრანსლირების ზოლოვანი სიჩქარის აწევა 2019 წლის დასაწყისში დადებითად აისახა გამოსახულების აღქმაზე. განსაკუთრებით- სპორტული ღონისძიებების ტრანსლირებისას. შესაძლებელ, განხორციელდეს ასევე გამოსახულების თანმდევნი, ხმის მატარებელი ნაკადების სიჩქარის გაზრდა, რაც გააუმჯობესებს საერთაშორისო დონის კონცერტების, გამოსვლებისა, თუ სხვა კონტენტის გადაცემისას მიღებული თანმდევნი ხმის ხარისხს.

სატელიტური პლატფორმა:

2019 წელს, მაუწყებლის EBU FNRMN საერთაშორისო კონტენტის გაცვლის სატელიტურ ტერმინალს გაუკეთდა დაცვის კოდების განახლება და ასევე, აუცილებელი გახდა სარეზერვო ქსელური EBU FLEX IP ტერმინალის პარამეტრების განახლება მაუწყებლის ინტერნეტ ქსელში არსებული ცვლილებების გათვალისწინებით.

მონიტორინგის, ტექნიკური კონტროლის მონაცემები:

რადიომაუწყებლობის ქსელის ფუნქციონირების შეფასებისას მიღების ხარვეზები უმეტესად დაფიქსირდა სამაჩაბლოს და აფხაზეთის არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან შემოსული რადიოსადგურების სიგნალების ზედდების გამო. აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად მიმდინარეობს მუშაობა მაუწყებლის რადიოგადამცემი ქსელის

სიხშირული გეგმისა და მიმართული გამოსხივების გეგმარების ოპტიმიზაციის თვალსაზრისით.

ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური, შესრულებული ტექნიკური სამუშაოები:

1. 2019 წლის II კვარტალში საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიო-1-ის სტუდიაში დემონტაჟი ჩატარდა ანალოგური ფორმატის ამორტიზირებულ ვიდეო კამერებს და ვიდეო სამიქშერო პულტს. სტუდიაში დამონტაჟდა ქ. ქუთაისიდან ჩამოტანილი 4 ცალი HD 1080i/50 ფორმატის მოძრავი კამერა, კამერების მართვის პულტი და HD ვიდეო მიქშერი. სამწუხაროდ, ვერ მოხერდა ვიდეო მიქშერის და გრაფიკული მანქანის ავტომატიზაციის უზრუნველყოფა. (აღნიშნულ ვიდეო პულტს არ გააჩნია მართვის ავტომატიზაციის მხარდაჭერა).
2. გარემონტდა და საინფორმაციო პროგრამა „მომხმეს“ ექსპლუატაციისთვის დაუბრუნდა 2 ცალი „Live-U“-ს გადამცემი მოწყობილობა. (ზემოაღნიშნული განხორციელდა საკუთარი ძალებით და ფირმა გურამექსის დახმარებით)

2019 წლის მეორე კვარტალში სარემონტო ჯგუფის მიერ შეკეთდა და დარეგულირდა DV CAM ფორმატის მაგნიტოფონები, LCD ხედის მაძიებლები, LCD მონიტორები, კამერის ტრიპსიალური და კოაქსიალური კაბელები. ყოველდღიურ სამუშაო რეჟიმში ტარდებოდა ვიდეო კამერების, ხელის და სამკერდე-„პეტლიჩკა“ რადიო მიკროფონების, ვიდეოკამერის შტატივების, „ფლემ-ბეკების“, აკუმულატორების და შემაერთებელი კაბელების მექანიკური და ელექტრული დაზიანებების რემონტი, სამუშაო ოთახებში განლაგებული აპარატურის გაუმართაობების ადგილზე აღმოფხვრა. ჩატარდა საეთერო მაგნიტოფონების პროფილაქტიკა.

კამერების პარკი: AJ-PX800G NBSTAA0059 WF რემონტი. Sony PMW EX-3 N 433597,433887 და გარეშე მიკროფონის სამაგრის შეკეთება, ელექტრული აწყობები სერვისის მიხედვით.

6ც. კამერის განათების შეკეთება

4 ც. Sachtler DV 8 შტატივის თაურის შეკეთება.

7 ც. Sachtler შტატივის შეკეთება

5 ც. Sachtler შტატივის დოლის შეკეთება

9 ც. Vinten შტატივის შეკეთება

8 ც. Vinten შტატივის დოლის შეკეთება

11 ც. Sennheiser SKM 100 ხელის რადიო მიკროფონის შეკეთება

12 ც. Sennheiser სამკერდე რადიო მიკროფონის შეკეთება.

კაბელები- დაახლოებით 50 ცალი რადიო მიკროფონის კაბელის შეკეთება

22 ც. კამერის განათების კაბელის შეკეთება

სამონტაჟოები-3ც. DSR 45P ის შეკეთება. DSR-1800 ინვ.N4031 შეკეთება, მექანიკური ნაწილების გამოცვლა

- გახმოვანება** -DSR 45P N211241 ის შეკეთება რამოდენიმეჯერ, Powerlay16 N4633 შეკეთება
- არქივი**-Dv cam და VHS კასეტების აღდგენა. DSR 45P N217010 შეკეთება,2 ცალი DVD-ის შეკეთება
- მოამბის არქივი**-DSR 45P შეკეთება -რამოდენიმეჯერ
- საეთერო 1** არხი - SONY DSR 1600P ფირის დაჭიმულობის მექანიზმის შეკეთება, პროფილაქტიკა.
DSR-1600P გამოეცვალა კასეტნიცა,მიმწოლი მექანიზმი და სენსორების პლატა.
- საეთერო 2** არხი -SONY DSR 45P - რამოდენიმეჯერ ფირის დაჭიმულობის მექანიზმის რეგულირება
- სტუდიები**-საოპერატორო ამწის ჯოისტი. დაზიანებული ფოკუსის მარეგულირებელი ცვლადი რეზისტორი B5k გამოიცვალა.
საოპერატორო ამწის **Jimmi Jib**მართვის ბლოკი, რომელშიც მრავალწვერიან „რაზიომზე“ დაზიანებული შტირები (პინები) გამოიცვალა.
- გადაცემა „აკუსტიკა“ : მულტიკორზე ყველა „რაზიომის“გამოცვლა და ახალი კაბელების დამზადება
- მოამბე**- გახმოვანების სააპარატოში დამატებითი აუდიო პულტის დაყენება-აწყობა (შემდგომში პულტი მოიხსნა) კაბელების შეკეთება, აუდიო სამონტაჟო პროგრამის ინიციალიზაცია.
- მსს**- HXC-100 N400693 კაბელის შეკეთება.
- „**პერეგონი**“-3ც. SONY DSR 45P - ფირის დაჭიმულობის მექანიზმის შეკეთება

ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური

აუდიო არქივისთვის „ Nas Storage”-ს ინსტალაცია- კონფიგურაცია

მოთხოვნის შესაბამისად, აუდიოფონდისთვის განხორციელდა არსებული „NAS Storage ”-ს ინსტალაცია /კონფიგურაცია, რაც გულისხმობს ცენტრალური სივრცის არსებობას აუდიო არქივის მომხმარებლისთვის. ინფორმაციის ორმაგი გადაზღვევის მიზნით დისკური სივრცე აპარატურულად დაცულია (RAID6) ინფორმაციის კარგვისგან.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, არქივისთვის გამოყოფილი დისკური მასივისთვის ვირტუალურ გარემოში დაინსტალირდა დამოუკიდებელი ფაილ სერვერი, რომლიდანაც ხდება დაარქივებული მონაცემების კონტროლი და დაცვა არაავტორიზებული წვდომისგან.Nas storage- ის დაკავშირება ვირტუალურ გარემოში გამოყოფილ, ფაილ სერვერთან ხორციელდება „ iSCSI “პროტოკოლით.

ახალი Firewall - ის ინსტალაცია სატესტო გარემოში

არსებული მოთხოვნიდან გამომდინარე, ინტეგრატორ კომპანიასთან მუშაობის შედეგად განხორციელდა სატესტო გარემოში ახალი „Firewall“ სერვისის ინსტალაცია, კონფიგურაცია. პირველ ეტაპზე სერვისის გაშვება მოხდა მხოლოდ დაკვირვების რეჟიმში, რაც გულისხმობს კონკრეტულ VLAN -ებში არსებული ვირუსული შეტევების აღმოჩენას და რეპორტის სახით გამოტანას. მოხდა ამოღებული რეპორტის სათითაოდ განხილვა და თითოეულ შემთხვევაზე ცალკეული რეაგირება, რამაც საგრძნობლად შეამცირა არსებული ვირუსების რაოდენობა და მოგვცა საშუალება, სწრაფი რეაგირება მოგვეხდინა იმ შეტევებზე, რომელიც ხორციელდებოდა, როგორც დომეინ კონტროლერზე და მეილ სერვერზე, ასევე სხვადასხვა მომხმარებელზე. დღესდღეობით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, რათა მოვახდინოთ ქსელის სრული ათვისება, რათა უფრო ნათლად დავინახოთ არსებული სურათი ქსელში და არა ცალკეულ Vlan-ებში. ამისათვის გამოიყო ძლიერი მონაცემების „სამონტაჟო“ კომპიუტერი, რაზეც მოვახდინეთ ვირტუალი გარემოს ინსტალაცია, ასევე სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტებთან მუშაობის შედეგად, მოხდა ვირტუალურ გარემოში ახალი „ Firewall “სერვისის გაშვება. ჩატარდა სამუშაოები და განხორციელდა ახალი სერვისის მიბმა ძველთან. შედეგად ორივე მაქსიმალურად დატვირთულ რეჟიმში დაიწყებს ფუნქციონირებას, მთელი ქსელის სატესტო გარემოში დაკვირვების რეჟიმში ყოფნას და მოგვეცემა რეპორტების ამოღების მაქსიმალური საშუალება. უახლოეს მომავალში დაგეგმილია არსებული სატესტო რეჟიმის აქტიურ რეჟიმში გადაყვანა, რაც გულისხმობს არამარტო დაკვირვების რეჟიმში ყოფნას, არამედ ვირუსის აღმოჩენის, ან შეტევის აღმოჩენის შემთხვევაში, მის განიარაღება/ დაბლოკვას.

ავტომატიზირებული სარეზერვო კოპირების სერვისი (Backup service) გადაიარაღება

ვირტუალური ინფრასტრუქტურის არსებობამ გაამარტივა სარეზერვო კოპირების სერვისის ეფექტურობა, სწრაფქმედება და საიმედოობა.

- ყველა მნიშვნელოვანი სერვისის სარეზერვო კოპირება ხორციელდება პერიოდულად.
- დაკოპირებული მონაცემები მოწმდება ვარგისიანობაზე- აღდგენის შემთხვევაში გაუთვალისწინებელი პრობლემების თავიდან ასაცილებლად.
- დაემატა Exchange 2010-სთვის და Active Directory-სთვის სწრაფი და მოხერხებული აღდგენის ფუნქცია
- კოპირებული ინფორმაცია დაზღვეულია აპარატურულად (Hardware RAID)

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, მნიშვნელოვანი ობიექტები, სერვისები და ასევე ცალკეული მონაცემები დაზღვეულია აპარატურის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში. სამუშაო რეჟიმში დაბრუნება ხდება მაქსიმალურად მოკლე დროში.

სარეზერვო კოპირების სერვისი დაფუძნებულია თანამედროვე პროგრამულ უზრუნველყოფაზე, რომელიც აღიარებულია მსოფლიო ბაზარზე.

ცენტრალური სარეზერვო კომპუტატორის დამატება

არსებულ სასერვეროში, სადაც განთავსებულია ცენტრალური 48 პორტიანი ე.წ. მთავარი კომპუტატორი, ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, შედეგად შესრულდება არსებული კომპუტატორის კონფიგურაციის სარეზერვო კოპირება, გამოთავისუფლდა სხვა წერტილიდან ანალოგური კომპუტატორი და დაემატა სასერვეროში ზუსტად იგივე კონფიგურაციით. შექმნილი გარემო ითვალისწინებს ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრალური კომპუტატორის რეზერვის არსებობას, რათა მისი მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში მოხდეს ყველა დაერთების გადატანა სარეზერვო კომპუტატორზე, რათა მაუწყებელმა მაქსიმალურად უსწრაფეს დროში მოახერხოს სამუშაო გარემოში დაბრუნება.

Exchange Mail Server

არსებულ მეილ სერვერზე მეილების სიმრავლის გამო გადაივსო სერვერის სივრცე, მეილ სერვერის გაჩერების თავიდან აცილების მიზნით მოხდა ლოგებიდან და სხვადასხვა არაგამოყენებადი ფაილებისგან გათავისუფლება, ასევე გამოიხშირა მომხმარებლების მეილბოქსები და მოხდა ოპტიმიზაცია. ჩატარებულმა სამუშაოებმა თავიდან აგვაცილა ძვირადღირებული სერვერების შეძენის აუცილებლობა და მოგვცა მეილ სერვერის წარმადობის გაზრდის შესაძლებლობა.

კომპუტატორების ოპტიმიზაცია

ადმინისტრაციული კორპუსის მეოთხე სართულზე არსებული კომპუტატორი, რომელიც არამიზნობრივად გამოიყენებოდა, ჩამონტაჟდა ე. წ. “კედლის ყუთში”(Wallbox). ასევე წინასწარ დაიგეგმა კონფიგურაცია და მოხდა თავიდან დაკაბელება. მოხდა ვირტუალური ქსელების კონფიგურაცია, შეიქმნა ახალი ქვექსელები, რაც მართვის და კონტროლის უკეთეს საშუალებას გვაძლევს.

FTP Server - ის ოპტიმიზაცია

გაზრდილი მოთხოვნის გამო FTP სერვერზე ადგილი გადაივსო, შეფერხების თავიდან აცილების მიზნით განხორციელდა თითოეული ანგარიშის ოპტიმიზაცია, არაგამოყენებადი ფაილებისგან გათავისუფლება, შემდეგი გართულების თავიდან აცილების მიზნით კი ჩატარდა ფაილების დროებით დაარქივება (Backup), ასევე არასასურველი ლოგების და ფაილებისგან გათავისუფლება, რამაც საგრძნობლად გაზარდა სერვერის წარმადობა.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ იურიდიული სამსახურის ანგარიში.

1. ხელშეკრულებების შესახებ

2019 წლის მე-2 კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 377 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

2. სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

2.1.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2019 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში:

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1.	ფ/პ ვახტანგ კანდელაკი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	<p>– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p> <p>– თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ვ. კანდელაკის სააპელაციო საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანება და სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დაეკისრა ვ. კანდელაკის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში.</p> <p>- ამ ეტაპზე უცნობია, ცნო თუ არა დასაშვებად საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკასაციო საჩივარი</p>
2.	ფ/პ ეკატერინე მაჭავარიანი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება,	<p>– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.</p> <p>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და</p> <p>ბ) საზოგადოებრივი მაუწყებლის ე. მაჭავარიანის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში.</p> <p>- იმ ნაწილში, რითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი, გადაწყვეტილება ასევე გასაჩივრებულია აპელაციის წესით მოსარჩელის მიერ</p>

3.	ფ/პ ბესიკ შარაშიძე	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	<p>– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.</p> <p>– თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. შესაბამისად,</p> <p>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და</p> <p>ბ) საზოგადოებრივ მაუწყებელს ბ. შარაშიძის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა.</p> <p>– გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში</p>
4.	ფ/პ გაგა მოდებაძე	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	<p>– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა.</p> <p>– თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. შესაბამისად,</p> <p>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება;</p> <p>ბ) მოსარჩელე აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე;</p> <p>გ) საზოგადოებრივ მაუწყებელს გ. მოდებაძის სასარგებლოდ დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება.</p> <p>– სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ სააპელაციო სასამართლოს განჩინება გასაჩივრებულია საკასაციო წესით.</p> <p>საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნა დასაშვებად.</p>
5.	საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო	საჯარო ინფორმაციის გაცემა	<p>– თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p> <p>– გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში</p>
6.	ფ/პ ლაშა მესხი	1) შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ	<p>– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა.</p> <p>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან</p>

		<p>ნაწილში, რითაც განისაზღვრა მისი მოქმედების ვადა 1 თვით;</p> <p>2) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე გენ. დირექტორის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;</p> <p>3) სამსახურში აღდგენა;</p> <p>4) იძულებითი მოცდენის ანაზღაურება;</p> <p>5) პროფკავშირული საქმიანობის და განსხვავებული შეხედულებების გამო მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა</p>	<p>გათავისუფლების შესახებ ბრძანება;</p> <p>ბ) მოსარჩელე აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე;</p> <p>გ) საზოგადოებრივ მაუწყებელს ლ. მესხის სასარგებლოდ დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება.</p> <p>დ) ლ. მესხის მიმართ სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი</p> <p>– სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებელია სააპელაციო სასამართლოში</p> <p>– ამ ეტაპზე საქმე იმყოფება სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში</p>
7.	ფ/პ ავთანდილ ძიმიგური	<p>უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლიდან მოსარჩელისთვის 12 794 ლარის უკან დაბრუნება</p>	<p>– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა</p>
8.	ფ/პ ნუგზარ რუხაძე	<p>საავტორო ჰონორარის სახით 276 000 ლარის დაკისრება</p>	<p>– საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში</p>
9.	ფ/პ მზია ზაუტაშვილი	<p>სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება,</p>	<p>– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი მ. ზაუტაშვილსა და სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელს“ შორის დადებული შრომის ხელშეკრულების 2.3 და მე-6 პუნქტები და სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელს“ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2017 წლის 1 თებერვლიდან 2017 წლის 1 დეკემბრამდე.</p> <p>- გადაწყვეტილება გასაჩივრებელია სააპელაციო სასამართლოში</p> <p>- ამ ეტაპზე მიმდინარეობს საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში</p>

10.	შპს “სტუდია ფონოგრაფი“	სატენდერო კომისიის ოქმების და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ მოსარჩელის სასარგებლოდ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება ტენდერთან დაკავშირებით	– თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი სატენდერო კომისიის ოქმები და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. - გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.
11.	ალექსანდრე ჯანდიერი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
12.	ალექსანდრე ჟღენტი	პლაგიატის აღიარება, საავტორო უფლებების დარღვევების გამო ზიანის ანაზღაურება 100 000 ლარის ოდენობით	– საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
13.	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	საჯარო ინფორმაციის (კერძოდ, მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-20 ¹ მუხლით განხორციელებული შესყიდვების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებების) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	– საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
14.	საქართველოს ახალგაზრდა	საჯარო ინფორმაციის (ტექნიკური	– თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი

	იურისტთა ასოციაცია	გადაიარაღების სამოქმედო გეგმის) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	არ დაკმაყოფილდა.
15.	შპს "Georgian Water & Company"	მიღება ჩაბარების აქტების ბათილობა და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის" სასპონსორო ხელშეკრულებიდან გამომდინარე საურავების დაკისრება	_ სარჩელი დარჩა განუხილველი მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობის გამო. _ საქმის წარმოება დასრულებულია.
16.	ალექსანდრე ხოჯავა	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა. ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება; ბ) მოსარჩელე აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე; გ) საზოგადოებრივ მაუწყებელს ალ. ხოჯავას სასარგებლოდ დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება. _ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში
17.	ა(ა)იპ "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო"	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის" ვიდეო რგოლის სოციალური რეკლამის სახით ეთერში განთავსების დავალება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
18.	ია მახარაძე	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა,	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში

		განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა	
19.	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტის ბათილად ცნობა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამის განთავსება	<p>– მოცემულ საქმეზე სსიპ “საზოგადოებრივი” მაუწყებელი ჩართულია მესამე პირად.</p> <p>– საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის წარმოებაში.</p>

20.	1. ალექსანდრე მეტრეველი 2. გიორგი ზანძავა 3. დავით სიმონიშვილი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	<p>– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ</p> <p>ა) ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელეთა სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება;</p> <p>ბ) საზოგადოებრივ მაუწყებელს მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაეკისრა ერთჯერადი კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.</p>
21.	1. გიორგი ბეროზაშვილი 2. ნუგზარ ჩხაიძე 3. გიორგი გოგიაშვილი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	<p>– გიორგი ბეროზაშვილთან და გიორგი გოგიაშვილთან გაფორმდა მორიგების აქტები და მოსარჩელები აღდგენილი იქნენ საზოგადოებრივ მაუწყებელში</p> <p>- ნ. ჩხაიძესთან მიმართებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება და საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა კომპენსაციის გადახდა</p> <p>– გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში</p>
22.	1. ქეთინო დეკანოზიშვილი 2. ირაკლი მიქიაშვილი 3. ნათია შენგელია 4. ლელა კურდღელაშვილი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	<p>– ლ. კურდღელაშვილთან გაფორმდა მორიგების აქტი, რომლის საფუძველზეც მოსარჩელეს აუნაზღაურდა კომპენსაცია.</p> <p>- მორიგების აქტი გაფორმდა ასევე ი. მიქიაშვილთან, რომლის საფუძველზე ი. მიქიაშვილი აღდგენილი იქნა საზოგადოებრივ მაუწყებელში.</p> <p>– ნ. შენგელიასთან მიმართებაში თბილისის საქალაქო</p>

			<p>სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენ. დირექტორის ბრძანება ნ. შენგელიასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ; 2. საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა ნ. შენგელიას სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა. <p>_ ქ. დეკანოზიშვილთან მიმართებაში თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენ. დირექტორის ბრძანება ქ. დეკანოზიშვილთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ; 2. საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა ქ. დეკანოზიშვილის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა. <p>- აღნიშნული გადაწყვეტილებები გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში</p>
23.	<ol style="list-style-type: none"> 1. ლევან გულბანი 2. ხათუნა ვაშაძე 	<p>სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება</p>	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სარჩელები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება და საზოგადოებრივ მაუწყებელს მოსარჩელების მიმართ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა.</p> <p>_ აღნიშნული გადაწყვეტილებები გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში</p>
24.	<ol style="list-style-type: none"> 1. შალვა სამხარაძე 2. გიორგი ხაჩიძე 3. ზურაბ ეჯოშვილი 4. მზია ბოგვერაძე 	<p>სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება</p>	<p>_ საქმეები იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.</p>
25.	<ol style="list-style-type: none"> 1. ბესარიონ გელაშვილი 2. ჯაბა კაველიძე 3. ლევან ლეკვეიშვილი 	<p>სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება</p>	<p>_ ბ. გელაშვილთან გაფორმდა მორიგების აქტი, რომლის საფუძველზეც ის აღდგენილ იქნა საზოგადოებრივ მაუწყებელში</p> <p>_ ლ. ლეკვეიშვილთან მიმართებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რითაც სრულად დაკმაყოფილდა სარჩელი.</p> <p>გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.</p> <p>_ ჯ. კაველიძის სარჩელთან დაკავშირებით საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.</p>

26.	ირაკლი ჯაფარიძე	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
-----	-----------------	---	---

2.2

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით არსებული საქმეების ნუსხა 2019 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში:

№	მოპასუხე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1.	შპს “Georgian Water & Company“	სასპონსორო მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის გამო ძირითადი დავალიანების სახით 5 000 აშშ დოლარის (ექვივალენტი ეროვნ. ვალუტაში) და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ ძირითადი დავალიანების დაკისრების ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად და მოპასუხეს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სასარგებლოდ დაეკისრა 5 000 აშშ დოლარის გადახდა. მოპასუხეს დაეკისრა ასევე პირგასამტეხლო, მხოლოდ შემცირებული განაკვეთით. კერძოდ, ა) 76,50 აშშ დოლარი; ბ) 26.11.2014წ.-დან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე 5000 აშშ დოლარის 0,01%-ის გადახდა ყოველ გადაცილებულ დღეზე.</p> <p>- მოპასუხემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში.</p> <p>_ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა განჩინება, რითაც სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა</p>
2.	შპს “სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“	ძირითადი დავალიანების და პირგასამტეხლოს დაკისრება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ ძირითადი დავალიანების ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად. პირგასამტეხლოს ნაწილში მისი ოდენობა შემცირდა.</p> <p>მოპასუხის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და შესწორება შეიტანა მხოლოდ პირგასამტეხლოს ნაწილში. საბოლოოდ:</p> <p>მოპასუხეს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი დავალიანების ანაზღაურება:</p>

